2010 წელი, 3 – 9 ივნისი
ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№20 (494) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

# „დაწყევლილი თაობის“ ფოტოქრონიკა

ქართველი ფოლკლორისტები, მეცნიერები, ეთნომუსიკოლოგები, ლოტბარები, მომღერლები, მოცეკვავეები, ქორეოგრაფ-ქორეოლოგები, ზეპირისტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები, სასულიერო პირები – ეს იმ ადამიანთა ჩამონათვალია, რომელთა ცხოვრების ამსახველი ფოტოქრონიკა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოფინა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ერთ ნიშნულში გააერთიანა საბჭოთა რეჟიმმა – სამშობლოს მოღალატეებად შერაცხულნი რეპრესიებს ემსხვერპლნენ სხვადასხვა სახით. დამთვალიერებელმა ნახა საბჭოთა სახელმწიფოში მოწყობილი არაადამიანური რბევის ამსახველი ფოტოდოკუმენტური მასალა, ნაკვალევი, რომელმაც მართლაც უმძიმესი შედეგები დატოვა. „საბჭოთა რეპერსიები და ქართული ფოლკლორი“ – გამოფენის იდეა ფოლკლორის სახელმწფო ცენტრის დირექტორს **გიორგი უშიკიშვილს** ეკუთვნის: *„პირველი შემთხვევაა, როცა ერთად შეიკრიბა ამ დარგში მოღვაწე რეპრესირებული ხალხის დოკუმენტური და ფოტომასალა. აქ არის წარმოდგენილი ის ხალხი, რომლებიც მუშაობდნენ ქართული სიტყვის, ქართული გალობის, ქართული ქორეოგრაფიის და ქართული სიმღერის გადარჩენისა და ჩვენამდე მოტანისთვის, მათი დევნის მიზეზიც ხომ ეს იყო. იყო შემთხვევები, როცა ისინი ჰიტლერის ტყვეობას დაუსხლტნენ ხელიდან, მაგრამ რუსების დახვრეტას ველარ გადაურჩნენ. ეს იყო სისასტიკით განხორციელებული რბევა ქართული ინტელიგენციისა და, ვფიქრობ, რომ მიუხედავად ამ უმძიმესი ფონისა (გადასახლება, დახვრეტის სერია), მათ მაინც შეძლეს და გადაარჩინეს ქართული სიმღერის, გალობის და სიტყვიერების უნიკალური, ბრწყინვალე ნიმუშები. სიამაყით შემიძლია ჩამოგითვალოთ ასეთი ადამიანების გვარები: ვახტანგ კოტეტიშვილი, დათაშკა და სანდრო კავსაძეები, მიხა ხელაშვილი, მარო თარხნიშვილის მეუღლე, ძმები კარბელაშვილები და ა.შ. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც ემსხვერპლა საბჭოთა რეჟიმს. და კიდევ, ეს გამოფენა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გვინდა ახალმა თაობამ გაიგოს მათ შესახებ, ანუ პროექტმა საგანმანათლებლო დატვირთვაც მიიღო, გამოფენას ძალიან ბევრი მოსწავლე და ახალგაზრდა ეწვია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან. ასევე, ჩვენ დავგეგმეთ ტურები სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებისთვის. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ხომ მათთვის – ახალგაზრდებისთვის კეთდება, რათა უკეთ გაიცნონ ჩვენი ტკივილიანი წარსული.“*



გამოფენაზე ექსპონირებული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში თავმოყრილი და რეპრესირებულთა ოჯახებიდან მოძიებული უნიკალური ფოტოდოკუმენტური მასალის დათვალიერება ყველასთვის მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად ემოციური – რეპრესირებულთა შთამომავალთათვის, ისინი დღესაც ისეთივე სიმძაფრით აღიქვამენ წარსულს, როგორც იმ ავბედით წლებში მათი მშობლები ან ახლობლები. მანანა ხიდაშელი იგონებს დედის დაპატიმრების წუთებს, გაუნელებელი ტკივილით გადმოგვცემს მცირეწლოვანი გოგონას განცდებს – „დედა წაიყვანეს“... კარბელაშვილების , ე. წ. „სამშობლოს მოღალატეთა“ პატარა შთამომალი კი აცხადებს, რომ ის ამაყობს თავის წინაპრებით...

*„ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ უზარმაზარი მასალისა იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც შეეწირნენ არაადამიანურ რეპრესიებს“* – გვიამბობს **ამირან არაბული**. მწერალი **როსტომ ჩხეიძე** კი ამ გამოფენას უსადაგებს ჩვენს რეალობაში გაუფასურებულ ეპითეტებს „ბრწყინვალეს და შესანიშნავს“ – *„ადვილად ამბობენ: დიდი, ბრწყინვალე და შესანიშნავი, ამიტომ ეს სიტყვები ეფექტს ველარ ახდენს ხოლმე. ეს ეპითეტები უნდა შეესაბამებოდეს იმას, რაც მართლა ღირებულია, რაც მართლა მნიშვნელოვანია, რომ დაინახოს ხალხმა, რა არის მისი სულიერი ორიენტირი, სულიერი სვლა. დღეს კი რასაც აქ ვხედავთ, ეს ეპითეტები უშურველად შეიძლება ითქვას“.*

ჩვენს მკითხველს კი შევეცდები იმ ფოტომასალის ისტორიებით დავანახო ჩვენი სულიერი ორიენტირი – სვლა, რომელიც სამშობლოს სიყვარულით ბრალდებულმა თანამემამულეებმა საბჭოთა ფონზე გვიჩვენეს.

გვერდი 6-7



## „...და რომ გვახსოვდეს“

გვერდი 4

## „გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

გვერდი 3




## პრეზენტაცია

გვერდი 4

## საგანმანათლებლო კერები თბილისი

გვერდი 5

ძვირფასო მასწავლებლებო, ესტუმრეთ „ახალი განათლების“ ვებგვერდს www.axaliganatleba.ge და მიიღეთ მონაწილეობა გამოკითხვაში

C M Y K

# „...და რომ გვახსოვდეს“

25 მაისს, საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში, საზოგადოება „მემორიალის“ ინიციატივით რიგით მეხუთე გამოფენა მოეწყო – „საბჭოური პერიოდის პოლიტპატიმარი ქალები“. გამოფენა ნაწილია „მემორიალის“ საგამოფენო პროექტისა – „საბჭოური პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში“, რომლის პირველი ნაწილი – „20-იანი წლების პოლიტპატიმრები“ უკვე იხილა საზოგადოებამ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დაახლოებით120 რეპრესირებული ქართველი ქალის ფოტო, 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე, ასევე, წარმოდგენილი იყო იმ ადამიანების სია, რომელთა ფოტოები სამწუხაროდ არ არის შემორჩენილი, ულმობელმა წლებმა მხოლოდ მათი სახელები შემოგვინახა.

გამოფენის გახსნას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. აქ იყვნენ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები: ისტორიკოსი **მარიკა ლორთქიფანიძე**, თეატრმცოდნე **ნათელა ურუშაძე**, რეჟისორი **ნანა მჭედლიძე**, კინორეჟისორი **გია ჭუბაბრია, მამა კონსტანტინე**, რომელმაც ყაზახეთში რეპრესირებულთა საფლავები აკურთხა და სხვ.

**ილამაზ მიწიშვილი**, საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე: „საზოგადოებას კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ ის ადამიანები, ვისი ბედიც უსამართლობის სიმბოლო გახდა. გვინდა, პატივი მივაგოთ მათ ერთგულებას ოჯახისადმი, შვილებისადმი, მშობლიური მიწისადმი, მათ სიყვარულსა და მოთმინებას პატიმრობისა და გადასახლების უმძიმესი წლების მანძილზე. ისინი ნამდვილად იმსახურებენ ხსოვნის მარადისობას. გამოფენაზე წარმოდგენილია ნაწილი იმ ქალბატონების ფოტოებისა, რომლებიც რეპრესიების ულმობელ წლებს შეეწირნენ. სამწუხაროდ, გამოფენა ფართო მასშტაბებს ვერ მოიცავს, მხოლოდ თბილისით შემოვიფარგლებით, რაიონებიდან მოწოდებული ინფორმაცია, რეპრესირებული ადამიანების შესახებ, ძალიან მწირია. გამოფენის ორგანიზებაში, მასალების შეგროვებასა და დამუშავებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარეს გურამ სოსელიას. ბატონი გურამის ინიციატივით გამოფენა, წლების მიხედვით, რამდენიმე ეტაპად დავყავით, ერთი კუთხე დათმობილი აქვს განსაკუთრებული ბედის ქალბატონებს, თითოეული მათგანი დახვრიტეს გამოგონილი ბრალდებებისა და პირადი ანგარიშსწორების მიზნით. უნდა ვაღიაროთ, რომ მასობრივი დახვრეტების მიზანი იყო ბრძოლა ქართული გენოფონდის წინააღმდეგ. აქ წარმოდგენილი ქალბატონებიდან, ვინ მოსთვლის, რამდენის მზრუნველი ხელი მოაკლდა შვილების აღზრდას, ოჯახის კეთილდღეობას, რამდენი საზოგადო მოღვაწე, ხელოვნების მუშაკი დააკლდა ჩვენს კულტურას, ისტორიას... საზოგადოება „მემორიალი“ ყოველთვის ცდილობს ჩვენი ხალხის მეხსიერების თვალსაწიერში იყვნენ ის პიროვნებები, რომლებმაც უდანაშაულოდ შესწირეს ცხოვრების საუკეთესო წლები და უფრო მეტიც – სიცოცხლე, იმ განუკითხაობას, რომელიც დასადგურებული იყო კომუნისტური რეჟიმის სახით.

საზოგადოება „მემორიალი“ 18 წელია ფუნქციონირებს და ძალიან ბევრი ამოცანა, რომელიც დასახული გვქონდა, მწირი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უფრო სწორად, შესაძლებლობების არქონიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ვერ განვახორციელეთ. თუმცა, ვფიქრობ, წარმატებით შევძელით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამოიხატა ხსოვნის საღამოებისა და თვალსაჩინო ღონისძიებების ჩატარებაში. ამ კუთხით, ჩვენი საზოგადოება, კვლავინდებურად გააგრძელებს მუშაობას. სამომავლოდ, ჩაფიქრებული გვაქვს ორი გამოფენის მოწყობა. ერთი მიეძღვნება 1941 წლის შეთქმულთა ბედს და მეორე, ეს იქნება მასშტაბური გამოფენა, პირობითად – „1937“, რომელიც ჩვენი საქმიანობის შემაჯამებელი და დამაგვირგვინებელი იქნება – ამ გამოფენებით კიდევ ერთხელ წარმოჩინდება ის უმძიმესი პერიოდი, რომელმაც ასეთი ტრაგიკული შედეგი მოუტანა ქართველი ხალხის ისტორიას და ცხოვრებას“.





**გურამ სოსელია**, საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე: *„დღევანდელი გამოფენა ერთადერთ მიზანს ემსახურება, გვინდა ამ ადამიანების ხსოვნა უკვდავვყოთ. ამათგან ბევრმა დამოუკიდებლობის იდეას შესწირა თავი, ბევრი მათგანი სოციალ-დემოკრატი იყო, ზოგი – მარქსისტი. ახალგაზრდები აღტკინებულნი იყვნენ მარქსიზმით, ახალი ცხოვრების იდეით, ასეთი ლოზუნგები ჰქონდათ: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, „45 წელს ზევით საჭიროებას არ წარმოადგენს“, „ისტორია დღეიდან იწყება...“ მათ არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ ქვეყნისა და ხელისუფლების წინაშე. თუმცა, ისინი ყველანი ერთადერთი ბრალდებით შერაცხეს – „ხალხის მტერი, სამშობლოს მოღალატე“. იმ ავადსახსენებელ წლებს უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის იყვნენ ქართველი ქალები. ბევრი მათგანის სახელი სამართლიანად დამკვიდრდა ქართველი ერის მეხსიერებაში. ეს ადამიანები ყველა თაობას უნდა ახსოვდეს.*

*გამოფენის გახსნას ახალი თაობის ბევრი წარმომადგენელი ესწრებოდა, რაც ძალიან სასიხარულოა, მათ აინტერესებთ ჩვენი წარსული. უნივერსიტეტის სტუდენტები ხშირად მოდიან საზოგადოებაში ინფორმაციისათვის, დიპლომებზე მუშაობენ. ვერ ვიტყვი, რომ ეს ადამიანები არავის ახსოვს. ახსოვთ და მომავალშიც უნდა ახსოვდეთ, ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის. ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი სურვილია, გაკეთდეს მემორიალი, უდანაშაულოდ დახვრეტილი ადამიანების უკვდავსაყოფად. საზოგადოება „მემორიალის“ სახელით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს“, შსს საარქივო სამმართველოს და ეროვნული არქივის ხელმძღვანელობას დახმარებისა და თანადგომისათვის“.*

**მაკა ყიფიანი**

# კლასიკური მუსიკის საღამო

## კონსერვატორიის სტუდენტები დედოფლისწყაროში

2010 წლის 29 მაისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლაში, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარჩინებულმა სტუდენტებმა: **გიორგი ყაჭაშვილმა** (ფორტეპიანო, III კურსი), **ივანე ქობულაშვილმა** (ვიოლინო, IV კურსი) და **თამარ ფრანგულაშვილმა** (ფლეიტა, IV კურსი) აკადემიური კონცერტი გამართეს. ძალზე დიდი და მრავალფეროვანი გახლდათ ამ კონცერტის პროგრამა, მოიცავდა ბახის, რახმანინოვის, სიბელიუსის, გლუკის, იზაის, მასნეს, დებიუსის, პაგანინის, ვაგნერის, თაქთაქიშვილის და შოპენის ურთულეს ვირტუოზულ ნაწარმოებებს.

ივანე ქობულაშვილმა შეასრულა სავიოლინო მუსიკის ერთ-ერთი მწვერვალთაგანი – პაგანინის პაიზიელო. ამ ნაწარმოებით წარდგა იგი იტალიაში, ვატიკანის ღვთისმშობლის ეკლესიაში და უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამ ეკლესიაში დაკვრა მხოლოდ უნიჭიერეს მუსიკოსთა ხვედრია.

ახალგაზრდა პიანისტმა, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, დედოფლისწყაროში დაბადებულმა გიორგი ყაჭაშვილმა როიალზე განსაკუთრებული პროფესიონალიზმითა და ოსტატობით შეასრულა ყველა ნაწარმოები, მათ შორის შოპენის მე-12 ეტიუდი, რომელიც მსმენელთა დაჟინებული თხოვნით ბისზე გაიმეორა. მსმენელი მოხიბლული დარჩა გიორგის ულამაზესი ბგერით, რომელიც გამოირჩევა სინაზით, სიფაქიზით, სისუფთავითა და უდიდესი გამომხატველობით.

თამარ ფრანგულაშვილმა კონცერტმაისტერ გიორგი ყაჭაშვილთან ერთად ფლეიტაზე შეასრულა ბახისა და თაქთაქიშვილის არია და უდიდესი სიამოვნება მიანიჭა კლასიკური მუსიკის დედოფლისწყაროელ თაყვანისმცემელს. მოსწავლეები ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ სტუდენტებს.

კონცერტის ორგანიზატორი და სპონსორი გახლდათ სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **ნანა ჭიჭინაძე** და ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე **ვანო ნატროშვილი**.

კონცერტს ესწრებოდნენ: ქალაქ დედოფლისწყაროს სამივე საჯარო სკოლის უფროსკლასელები და მასწავლებლები, მწიგნობართა ასოციაციის წევრები, განათლების სისტემის მუშაკები.

**არსენ ყორჩიაშვილი**, მე-10 კლასის მოსწავლე: *„უღრმესი მადლიერება მინდა გამოვხატო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტების მიმართ. მათ უანგაროდ გვაჩუქეს ერთი ლამაზი საღამო და დიდ ხელოვნებას გვაზიარეს“.*

**მარინა კიკილაშვილი,** მუსიკის მასწავლებელი: *„ამ ემოციების გამოსახატავად სიტყვები არ მყოფნის. ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭია, ამ ახალგაზრდებს უდავოდ დიდი მომავალი აქვთ. საათობით შემიძლია ვუსმინო შოპენს გიორგი ყაჭაშვილის შესრულებით“.*

**ციალა გოგილაშვილი,** სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„დღეს ჩვენი სკოლის მოსწავლეები სულიერების უდიდესი ზეიმის მოწმეები გახდნენ. მათ ცოცხალი შესრულებით მოისმინეს უკვდავი კომპოზიტორების მუსიკა ვიოლინოზე, ფორტეპიანოსა და ფლეიტაზე აჟღერებული. დიდი მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს. ეს დაუვიწყარი საღამო დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენს მოსწავლეებს“.*

კონცერტის დასასრულს, ნანა ჭიჭინაძემ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს დედოფლისწყაროში ჩამობრძანებისათვის და არაჩვეულებრივი საღამოს გამართვისათვის, ასევე, დამსწრე საზოგადოებას და ხელოვნების სკოლის დირექტორს **აკაკი მერაბიშვილს** თბილი გარემოს შექმნისთვის.

**მარიკა პოპიაშვილი**


# ყველა პედაგოგს!

**კვალიფიციურ საკონსულტაციო საბჭოსა და საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბო მნტ“-ს დახმარებით გამოვიდა უნიკალური სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ მოემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.**



სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ თემებს:

**სასწავლო გარემო;**
**მოტივაცია და კომუნიკაცია;**
**სასწავლო პროცესი;**
**შეფასება;**
**სწავლების სტრატეგიები და მეთოდები.**

ყველა თემაზე მოცემულია საკითხავი მასალა, ცოდნის შესამოწმებელი კითხვები და სიტუაციური ამოცანები, ტესტები და მათი პასუხები.

**სახელმძღვანელოს შეძენის მსურველთათვის**
გადმორიცხვით: შპს „ლიბო მნტ“,
ანგარიში № 21599920, ს/კ 200243502,
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი,
ს/კოდი 220101502.
ბანკიდან მიღებულ ქვითარში მითითებული უნდა იყოს:
გადამხდელის გვარი, სახელი, დანიშნულება. გადარიცხვის შემდეგ ქვითარი უნდა წარადგინოთ „ლიბო მნტ“-ს ოფისში:
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №128.
ტელეფონი: 8(22)478919, 893577072 (ქრისტი)
ქვითრის საფუძველზე გაიცემა წიგნები.
გარდა ამისა, წიგნის შეძენა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში.
ღირებულება – 8 ლარი.

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

# სსიპ – საჯარო სკოლის დირექტორის სამართლებრივი აქტები

## (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი)

**პატივცემულო მკითხველო, ვაგრძელებთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის საინტერესო და პრობლემური საკითხების გაშუქებას. ამჯერად შევეხებით საჯარო სკოლების ხელმძღვანელთა (დირექტორი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემის საკითხებს.**

◆ უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რომ დირექტორის სამართლებრივი აქტებია: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; 2. შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი და სხვა სამართლებრივი აქტები.

◆ პრაქტიკა ადასტურებს, რომ დირექტორების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ძირითადად, **ბრძანების** სახელს ატარებენ.

◆ იმისათვის, რათა სრულყოფილად გავიაზროთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტატუსი, უნდა განვსაზღვროთ მისი **ცნება**, რომელიც შემდეგია: 1. ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს; 2. გადაწყვეტილება საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

◆ გარდა ამისა, არსებობს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება – აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ანუ აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

◆ ნებისმიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. ადმინისტრაციული წარმოება კი არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, მიზნით.

◆ მოქმედი კანონმდებლობა ადმინისტრაციული წარმოების რამოდენიმე სახეობას ითვალისწინებს და ამ სახეობებიდან, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, საჯარო სკოლების მიერ გამოყენებადი, ძირითადად, **მარტივი ადმინისტრაციული წარმოებაა**. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს – თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

◆ ახლა კი უშუალოდ აქტის გამოცემის საკითხებზე გადავიდეთ – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა **წერილობით ან ზეპირად**, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ აქტის ზეპირად გამოცემის შემთხვევაში, ის ყველა შემთხვევაში შეიძლება დარჩეს და არსებობდეს ზეპირი ფორმით. კერძოდ, ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მიღებიდან 3 დღის ვადაში, უნდა გამოიცეს წერილობით, თუ: 1. ეს გათვალიწინებულია კანონით; 2. აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; 3. იგი გამოცემულია დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

◆ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გააჩნია **ფორმა**, რომელიც დაცული უნდა იყოს და როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ხშირ შემთხვევებში საჯარო სკოლებში ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს – აქტის სახეს; გამომცემ ორგანოს (მითითებული უნდა იქნეს, რომ აქტი სკოლის დირექტორის აქტია); სათაურს (რომელიც შეესაბამება მის შინაარსს); უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას (აქ მნიშვნელოვანია ის გარემობა, რომ კანონმდებლობა აქტზე დაწესებულების ბეჭდის არსებობის მოთხოვნას არ აყენებს, თუმცა მისი სანდოობიდან გამომდინარე, ბეჭდის არსებობა სარეკომენდაციოა); გამოცემის დროსა და ადგილს; აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს (იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ გააჩნია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაციის ცალკე წესი, ისინი უნდა დაინომრონ კალენდარული წლის მიხედვით, მათემატიკური ზრდადობის პრინციპით).

◆ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დირექტორის ბრძანებები ინომრება წლების განმავლობაში უწყვეტად ან მათთვის ნუმერაციის მინიჭების წესის არარსებობის პირობებში, ხდება აქტების ნუმერაცია მათზე არა მხოლოდ რიცხვის, არამედ რიცხვისა და ალფაბეტის რომელიმე ასობგერის დამატებით ან წილადის გამოყენებით, რაც არასწორია, ვინაიდან ქმნის ძველი რიცხვით ბრძანების გამოცემის (ჩამატების) შესაძლებლობას. შესაბამისად, ზემდგომ მაკონტროლებელ ორგანოს უქმნის საფუძვლიანი ეჭვის საბაბს.

◆ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

◆ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საჯარო სკოლებში, ამ მხრივ, დარღვევების დაფიქსირების საფუძველია, არის ის გარემოება, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, ანუ აქტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ის მიზეზი რის გამოც გამოიცემა იგი, იმ საფუძვლების მითითებით, რომლებზე დაყრდნობითაც აუცილებელი გახდა მისი გამოცემა. შესაბამისად, ეს გამართლებული, ანუ საფუძველდებული უნდა იქნეს კანონის ან მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტის ნორმებით. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, კანონმდებლობა ითხოვს, რომ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

◆ გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში, წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან **ერთი კვირის** ვადაში.

◆ აქტის დასაბუთებისას საჯარო სკოლის დირექტორმა უნდა გაითვალიწინოს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ანუ მის გამოცემამდე გამოკვლეული უნდა იქნეს ყველა გარემოება, რომელიც ეხება იმ საკითხს, რაც აქტის გამოცემას ედება საფუძვლად.

◆ გასათვალისწინებელია, რომ თუ აქტის გამოსაცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი.

◆ ასევე არსებობს შემთხვევა, როდესაც დაწესებულებას საკითხის გამოკვლევის შემდგომ გააჩნია გადაწყვეტილების რამდენიმე სახეობა, რომლიდანაც ერთ-ერთი უნდა იარჩიოს. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში სკოლის დირექტორი? კანონმდებლობამ ეს შემთხვევაც დაარეგულირა და განსაზღვრა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის გამოცემისას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

◆ არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები **არ საჭიროებს დასაბუთებას**. აქტი დასაბუთებას არ საჭიროებს, თუ: ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

◆ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის საკითხი, ვინაიდან ხშირ შემთხვევებში საჯარო სკოლაში გამოცემული აქტების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიცემა და რჩება ადმინისტრაციის განკარგულებაში ისე, რომ მათ შინაარსს არ იცნობენ დაინტერესებული პირები (შესაბამისად, ისინი ძალაში შესულიც კი არაა). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი **აქტი ძალაში შედის**: ა) **გამოქვეყნების** დღეს ან ბ) მხარისათვის კანონით დადგენილი წესით **გაცნობისთანავე**.

◆ თუ ინდივიდუალური აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს **გამოქვეყნებით**; აქტი უნდა გამოქვეყნდეს გამომცემის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (თუ გამომცემს გააჩნია ასეთი ბეჭდვითი ორგანო/გაზეთი). თუ ასეთი ორგანო გამომცემს არ აქვს, აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც ან გამოცხადდეს საჯაროდ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჯაროდ გამოცხადება ყველაზე კარგი საშუალებაა.

◆ საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში, აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

◆ თუმცა ეს ყველაფერი კანონიერ სახეს იღებს მაშინ, როდესაც შექმნილია აქტის გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი.

◆ რაც შეეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის მეორე გზას – დაინტერესებული პირისათვის მის პირადად **გაცნობას**. დაინტერესებული მხარისათვის აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას. რა თქმა უნდა, აღნიშნული ორივე ღონისძიება უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს აქტი არ მიუღია.

◆ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ხშირია **შეცდომები**, რომლებიც სამწუხაროდ საჯარო სკოლებში, უმეტეს შემთხვევაში, სწორდება მარტივი წესით (ბრძანების გადახაზვით, მასზე წარწერის გაკეთებით – „გაუქმებულია“), რაც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

◆ იგივე ეხება იმ ბრძანებებს, რომლებიც მისმა გამომცემმა **კანონსაწინააღმდეგოდ** მიიჩნია ან მათ **არსებობას საჭიროდ აღარ თვლის**. განვიხილოთ შემთხვევები, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში დაწესებულება:

◆ **შეცდომა** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში. კანონმდებლობის თანახმად, ასეთი შეცდომა არის – ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომა. შესაბამისად, აქტის გამომცემმა უნდა შეიტანოს აქტში ცვლილება და ეს უნდა გაკეთდეს იმავე წესით, როგორც გამოცემულია თავად ეს შეცდომის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მარტივი ენით რომ ვთქვათ, უნდა დაიწეროს მეორე ბრძანება, რომლის მიზანი იქნება შეცდომის მქონე აქტში ცვლიების შეტანა – შეცდომის გასწორება. აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

◆ შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის ზემოაღნიშნული წესით.

◆ კანონმდებლობა ითვალიწინებს **არარა აქტის** ცნებას და ასეთად მიიჩნევს აქტს თუ: 1. შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; 2. გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; 3. მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; 4. მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. აქვე გასათვალიწინებელია, რომ არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება გასაჩივრების ვადები. აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. არის თუ არა ეს გარემოებები საჯარო სკოლისათვის მნიშვნელოვანი? რა თქმა უნდა არის, შემდეგი გარემოებების გამო – მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ სკოლიდან დისციპლინური დარღვევების გამო მოსწავლის გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, სკოლის დირექტორი დამატებით გამოსცემს ბრძანებას ამავე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ვხვდებით, რომ ჯერ ერთი სკოლის დირექტორი არ არის უფლებამოსილი სკოლიდან დისციპლინური დარღვევის გამო გარიცხოს მოსწავლე (შესაბამისად, მისი ბრძანება გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ), ხოლო მეორე მხრივ, სკოლის დირექტორის ბრძანება ვერ აღსრულდება, ვინაიდან ამ ბრძანებით გათვალისიწინებული ღონისძიება უკვე აღსრულებულია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად, დირექტორის ბრძანების შესრულება, მიუხედავად იმისა, მართებულია თუ არა დირექტორის გადაწყვეტილება, ვერ შესრულდება ფაქტობრივი გარემოებების გამო.

◆ იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის **არსებობა საჭიროებას მოკლებულია**, ან იგი **შეეწინააღმდეგა მოქმედ კანონმდებლობას**, მის გამომცემს შეუძლია მიმართოს მისი გაუქმების ორ გზას – **ძალადაკარგულად** გამოცხადებასა და **ბათილად** ცნობას.

◆ **ძალადაკარგულად** გამოცხადება ნიშნავს აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

◆ რაც შეეხევა აქტის **ბათილობას,** აქტი ბათილია, თუ იგი: 1. ეწინააღმდეგება კანონს ან 2. არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აქტს ბათილად ცნობს: 1. გამომცემი; 2. საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ბათილად ცნობასთან ერთად განისაზღვრება აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები. შესაძლებელია განისაზღვროს აქტის მოქმედების შეწყვეტა: ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან; ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან; გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით. აქტის ბათილად ცნობა ხდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.

◆ შესაძლებელია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის შინაარსში ცვლილების ან დამატების შეტანა, რისი უფლებაც მის გამომცემ ორგანოს ან პირს აქვს. აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

დამატებითი შეკითხვებისათვის და სხვა მომსახურების მისაღებად მოგვმართეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

აუდიტორული კომპანია - „მ.ე.ს.-ექსპერტი“
ვებგვერდი: www.mes-expert.ge ელფოსტა: mes_expert@yahoo.com საკონტაქტო ტელ.: 8(99) 92 25 95

# გლობალური ალიანსი სიცოცხლის დასაცავად დედამიწაზე

თბილისის 144-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**), როგორც ყოველთვის, პირველი გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, **პან კი-მუნის** მოწოდებას ჩვენი პლანეტის ყველა მოქალაქის მიმართ – ბიომრავალფეროვნების ამ საერთაშორისო წელს ყველა მოქალაქე გაერთიანდეს გლობალურ ალიანსში სიცოცხლის დასაცავად დედამიწაზე.





ამ მიზნით, ჩემი ხელმძღვანელობით, სკოლაში შეიქმნა ახალგაზრდული კლუბი „ეკოტურისტი-144“. კლუბს აქვს კონკრეტული ამოცანები, საქმიანობის მიმართულებები, საკუთარი სლოგანი და ლოგო. სკოლის დირექტორის, მოადგილეების – **ეკა რაინაულის, შორენა ზარდიაშვილის** და ახალგაზრდული კლუბის წევრების ძალისხმევით ჩატარდა: წყლის რესურსების, ფრინველთა დაცვის, ნაკრძალების და ეროვნული პარკების დაცვის, დედამიწის (VIა კლასი, მასწავლებელი – **ქეთი ქათამაძე**), კლიმატის (მასწავლებლები: **ირინა ქაჯაია, ინდირა წიფურია**) და ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი სასკოლო კონფერენციები.

კლიმატის ცვლილება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მოველოდით. კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს მსოფლიოში მომხდარი კატასტროფების შედეგად გარემოსა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შესახებ, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარით განისაზღვრება. გამომსვლელებმა – **ქეთი გამეზარდაშვილმა, ნინო ბაიაშვილმა** და **თეონა სამხარაძემ** წინასწარ მომზადებული სლაიდ-შოუების მეშვეობით ახალი ინფორმაცია მიაწოდეს დამსწრე საზოგადოებას; **ნინო** და **ირაკლი გოგბერაშვილებმა** გლობალური დათბობის შესახებ ისაუბრეს; **ნონა ხურციამ** და **ანი შულღიაშვილმა** აღნიშნეს, რომ თუ ადამიანები არ შეცვლიან საკუთარი ცხოვრების წესს, შედეგად ნამდვილად მივიღებთ საშიშ, შესაძლოა, კატასტროფულ კლიმატურ ცვლილებებს. ამიტომ მოზარდებმა კარგად უნდა გაიაზრონ ეს პრობლემა.

22 მაისს სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეები: **ომარ ბახტურიძე, სერგი ჭანტურია, ელენე გოგოძე, მარი სიჭინავა, სალომე ლაღიძე, ნინო მაისურაძე, შოთიკო ჯავახიშვილი, მარიამ შოშიაშვილი, მარიამ გოგალაძე, გიორგი ევსია, ნონა ხურცია, სალომე ბერიანიძე, ანი შულღიაშვილი** და სხვები მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამსახურის მიერ ორგანიზებულ ფრინველების დაკვირვების კამპანიაში – „ბაღის ფრინველთა საათი საქართველოში“. ღონისძიებას ესწრებოდნენ: გერმანულ-ქართული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ექსპერტი **ქრისტინე სტრაუბი** და **გიორგი ლებანიძე**, ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსი **იოსებ ქარცივაძე**.

დაკვირვება ჩატარდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, მზის ამოსვლიდან 2-3 საათის განმავლობაში, ვინაიდან ამ დროს ფრინველები განსაკუთრებით აქტიურები არიან. მოსწავლეებს დაკვირვების წესები გავაცანი, დავსვი წინასწარ შერჩეულ ადგილებზე; 3-კაციან ჯგუფებს აღრიცხვის ფურცლები და ფანქრები დავურიგე. აღრიცხვის ფურცელზე გამოსახული 25 ფრინველიდან (რომელთა ცნობა მათ დარიგებული მასალის მეშვეობით შეეძლოთ) რომელიმეს გამოჩენისას დამკვირვებელი ამ ფრინველის ქვემოთ მოცემულ ცხრილში x ნიშანს სვამდა. შევსებული ფურცლები გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტს გადაეცა. აღსანიშნავია, რომ 144-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ფრინველებზე დაკვირვება კერძო სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ მოსწავლე **საბა გოგიბერიძემაც** ჩაატარა.



ბუნების ქომაგთა რიცხვის ზრდაზე მიუთითებს აღნიშნულ კამპანიაში მონაწილე სკოლების რაოდენობის ზრდა – თუ 2009 წელს 200-მდე სკოლა მონაწილეობდა, 2010 წელს მათი რიცხვი 400-ზე მეტი იყო.

საბუნებისმეტყველო კათედრა, სკოლის ახალგაზრდული კლუბის „ეკოტურისტი-144“ წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს კამპანიაში „საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები“, რომლის მიზანია მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობების შესახებ. შევეცდებით, მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობით კიდევ უფრო დავუახლოვოთ მოსწავლეები გარემოს, ვასწავლოთ მისი სიყვარული და გაფრთხილება.

*ლალი ედიბერიძე*
*144-ე საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის გამგე*

## პრეზენტაცია

# პოეზია მინიატურა თარგმანი მხატვრობა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ორგანიზებით, 25 მაისს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ალმანახ 2010-ის – „საცნობლად თავისადაო“ – პრეზენტაცია.

ალმანახში იმ თბილისელ მასწავლებელთა 63 ნაშრომია დაბეჭდილი, რომლებიც სპმთპ-ის თბილისის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „საცნობლად თავისადაო“ – გამარჯვებულები არიან (პროზა, პოეზია, თარგმანები, ნახატები). პროექტის ხელმძღვანელი – **ეკატერინე ჩერქეზიშვილი**, იდეის ავტორი და შემდგენელი – **თამარ ბარისაშვილი**.

ალმანახის პრეზენტაციისთვის შერჩეულ დარბაზში მხატვარ პედაგოგთა ნამუშევრები გამოიფინა, ექსპოზიცია მათმა ძალიან ბევრმა კოლეგამ დაათვალიერა. რაკი ალმანახის გამოცემა თავის თავზე თბილისის მერიამ აიღო, პრეზენტაციას ქალაქის მერი **გიგი უგულავაც** დაესწრო. მან მიულოცა შემოქმედ პედაგოგებს ალმანახის გამოცემა და მომავალშიც თანადგომას დაჰპირდა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: მხატვარი **ქეთი მატაბელი**, პოეტი **რუსუდან კაიშაური**, ლიტერატორი **ლია კარიჭაშვილი**, გამარჯვებული პედაგოგები გამოავლინა. პროექტის ხელმძღვანელმა ეკატერინე ჩერქეზიშვილმა მათ სხვადასხვა სახის სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და გამარჯვებულებს მიულოცეს: მწერალმა **როსტომ ჩხეიძემ**, ლიტერატორმა ლია კარიჭაშვილმა და პოეტმა რუსუდან კაიშაურმა.

### კონკურსის შედეგები

**ლიტერატურა – პოეზია**

**ედუარდ უგულავა** – №112 საჯარო სკოლა;

**თამარ მახარაძე** – საგანმანათლებლო შემოქმედებითი კავშირი „ქორბუდა“;

**ნანა გოგიჩაიშვილი** – №3 საჯარო სკოლა.

**თარგმანები**

**ვიქტორია ხასიევა** – №129 საჯარო სკოლა;

**თამარ ჯანგულაშვილი** – საგანმანათლებლო ცენტრი „K-Group“;

**თამარ ვარდიძე** – საგანმანათლებლო ცენტრი „K-Group“.

**სახვითი ხელოვნება**

**მთვარისა მარკოზია** – საერო სკოლა „ოპიზა“;

**მაია კაციტაძე** – თბილისის №23 საჯარო სკოლა;

**ხათუნა მაჩიტაძე** – თბილისის №16 საჯარო სკოლა;

**ნომინაცია „გრაფიკა“**

**ცირა რაზმაძე** – №2 საჯარო სკოლა;

**ნომინაცია „კოლაჟი“**

**რუსუდან გვარამაძე-აბულაძისა** – თბილისის №213 ბაგა-ბაღი;

**ნომინაცია „ნატურმორტი“**

**თამთა მამუკელაშვილი** – თბილისის №3 საჯარო სკოლა;

**ნომინაცია „პორტრეტი “**

**იზოლდა თავაძე** – თბილისის №23 საჯარო სკოლა;

**ნომინაცია „დიზაინი“**

**ნიკო მუმლაძე** – თბილისის №67 საჯარო სკოლა.


*მაია კაციტაძე*


*იზოლდა თავაძე*


*მთვარისა მარკოზია*


*თამთა მამუკელაშვილი*


*რუსუდან გვარამაძე-აბულაძე*

C M Y K

საგანმანათლებლო კერები

# თბილისი

*დასაწყისი №19*

კაპუცინების მიერ თბილისში დაარსებულ სკოლაში 1668 წლისათვის 25 მოსწავლე ირიცხებოდა, 1675-1676 წლებში – 40-50, 1683 წ. – 30, ხოლო 1698 წ.– 40. სკოლაში ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, იტალიურს, ლათინურს, ქრისტიანულ მოძღვრებას, გალობას, ანგარიშს, მოსწავლეთაგან ყველა ბოლომდე არ რჩებოდა სკოლაში. მისიონერების ცნობით, ბევრნი, როცა 8-10 წელს მიაღწევდნენ და ქართულ წერა-კითხვას ისწავლიდნენ, მშობლებს გაჰყავდათ და ხელობის შესასწავლად აყენებდნენ. სკოლაში მომზადებული ბავშვებიდან ყველაზე უფრო ნიჭიერებს, 15-20 წლის ასაკში, ხშირად რომში აგზავნიდნენ პროპაგანდის კოლეგიაში სწავლის გასაგრძელებლად. 1679 წ. თბილისის სკოლაში აღზრდილთაგან 5 გამზადებული ყოფილა რომში გასაგზავნად, რომელთაგან XVII საუკუნის 80-იან წლებში ცნობილია ენიბეგაანთ ზალინა, რომელიც მეფის მდივანი და თარჯიმანი იყო ქართულ, სომხურ, სპარსულ, თათრულ და იტალიურ ენებში.

ზოგი ქართველი ფეოდალი თვითონ აგზავნიდა შვილს იტალიის სხვა ქალაქებში სწავლის მისაღებად. XVII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ერთი ქართველი, რომლის ვინაობა უცნობია, სწავლობდა ნეაპოლის სკოლაში.

განათლების გავრცელების საქმეს ემსახურებოდა წიგნების გადაწერა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განათლების გავრცელებისათვის ზრუნავდნენ ლუარსაბ I, სიმონ I, მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე), ვახტანგ V, გიორგი XI და სხვა ცნობილი კალიგრაფები და გადამწერები იყვნენ ზემოხსენებული ისააკი, ელისე თბილელი-საგინაშვილი (XVII საუკუნის. პირველი ნახევარი და შუა წლები).

თბილისის სიონის ბიბლიოთეკის შექმნა-გამდიდრებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის იოსებ სააკაძეს, „დიდმოურავიანის“ ავტორს, რომელიც თბილისის ეპისკოპოსად იყო 1661-1688 წლებში. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა, რომელთა ხელნაწერ წიგნებს იყენებდნენ როგორც საეკლესიო პრაქტიკისათვის, ისე სწავლა-აღზრდის საქმეში.

ქართული კულტურის მესვეურები ხედავდნენ, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან „შეერიათ ქართველთა“ ყიზილბაშური, „უგვანო“ წეს-ჩვეულებანი. საჭირო იყო ეროვნული ქართული კულტურის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გაჩაღება. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ვახტანგ VI-მ. მან თავის ირგვლივ დარაზმა კულტურის მოღვაწეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასი, რომელმაც დიდი სამუშაოები გაშალა, თბილისის სამეფო კარი „ერთგვარ პატარა აკადემიად“ იქცა (ა. ბარამიძე).

„სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა. – წერდა ივანე ჯავახიშვილი – ასეთი დაუღალავი მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა, ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს, ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური დავარქვათ სახელად, თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცეათ. ამ დიდი საქმის მოთავედ და სულისჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო“.



აღნიშნული დიდი საქმის ძირითადი ცენტრი იყო თბილისი. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ფეოდალური კულტურის მოღვაწენი იყვნენ: თვით ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, დომენტი ბაგრატიონი, გივი თუმანიშვილი და სხვა მრავალი. „ამ კულტურულ გარემოში გაიზარდა აგრეთვე ქართველ მეცნიერთა და მწერალთა ის სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგში რუსეთში განაგრძო თავისი ნაყოფიერი საქმიანობა“ (ლ. მენაბდე).

ეროვნული კულტურის მძლავრი კერის ჩამოყალიბება თბილისში უაღრესად საჭირო იყო, რადგან ვახტანგ VI-ის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ დროს საქართველო „მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა“ (რის გამოც) „სხვათა ენის კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ“.

ვახტანგი იყო „ყრმათათვის დიდად მოღვაწე და სწავლა-შემატების გულს-მოდგინე“.

სწალვა-განათლების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა. მის მიერ შედგენილი საყოველთაოდ ცნობილი ლექსიკონი („სიტყვის კონა“) სასწავლო წიგნად იყო გამიზნული. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბას მიერვე დაწერილ წიგნს – „სიბრძნე სიცრუისა“. იგი წარმოადგენს დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ნაწარმოების ნიმუშს, რითაც ავტორმა „ახალი“, ორიგინალური იდეები წამოაყენა მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების დარგში და პედაგოგიკური აზროვნება მეცნიერულ ნიადაგზე დაამკვიდრა.

განათლებისა და მეცნიერების წარმატების საყრდენი გახდა თბილისში დაარსებული სტამბა. იგი მოეწყო რუმინეთის საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწის – წარმოშობით ქართველის – ანთიმოზ ივერიელის აქტიური დახმარებით. ამისთვის ანთიმოზმა აქ მოავლინა თავისი მოწაფე უნგრო-ვლახელი მიხაილ იშტვანოვიჩი.

ქართული სტამბა 1708-1709 წლებში მოეწყო. სტამბისათვის მეფის სასახლესთან ააგეს „სახლები“ ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის.

1709-1712 წწ., თბილისის სტამბაში, დაიბეჭდა 14 წიგნი, რომელთაგან 11 სასულიერო ხასიათისა იყო, 2 – სასწავლო სახელმძღვანელო. 1712 წ. გამოიცა შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. მისი პირველი მეცნიერული გამოცემა პირადად ვახტანგ მეფემ განახორციელა; ამისათვის მან დიდი ფილოლოგიურ-რედაქციული სამუშაოები ჩაატარა.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას ვახტანგმა დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელსაც „თარგმანი“ (განმარტება) უწოდა: დაასაბუთა გამოცემის აუცილებლობა, დასაბამი დაუდო უკვდავი ძეგლის მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას და მეცნიერულ რუსთველოლოგიას. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის მომავალი განვითარებისათვის.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ფართოდ გაიაშალა მეცნიერული მუშაობაც.

მშობლიური ისტორიის შესწავლაზე მუშაობდა XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც თავისი კაპიტალური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ანუ საქართველოს ისტორია, მოსკოვში დაასრულა 1745 წელს.

ვახუშტიმ რუსულიდან თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელსაც 21 ფერადი რუკა დაურთო და საქართველოს შესახებ ცნობებს თავისი შენიშვნები დაუმატა.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მეცნიერებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ სხვა დისციპლინებიც. ვახტნაგ VI-მ შეადგინა ასტრონომია-კოსმოგრაფიის მოკლე კურსი, რომელშიაც განმარტებულია სხვადასხვაგვარი ცნებები თუ ტერმინები.

ვახტანგ VI-ს შეუდგენია აგრეთვე „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“, იგი თვითონაც აწარმოებდა ქიმიურ ცდებს. ამავე სახელმძღვანელოზე უმუშავნია ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელსაც მისთვის ფიზიკისა და ქიმიის დარგში ცდების საწარმოებლად მაშინ ხმარებულ ხელსაწყოთა ზოგიერთი ნახაზი დაურთავს.

XVIII საუკუნის 40-90-იან წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ქართლში თეიმურაზ II-ისა და კახეთში ერეკლე II-ის გამეფების (1744 წ.), უფრო ზუსტად, ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747 წ.).

ქვეყნის კულტურული განვითარების მთავარი მზრუნველი და ხელშემწყობი ერეკლე II იყო, რომელსაც მხარში განათლებული ბატონიშვილი – ანტონ I ედგა. ერეკლესა და ანტონს მიაჩნდათ, რომ საქართველოს დაწინაურებისათვის საჭიროა „მამულსა შინა ჩუენსა განმრავლდნენ მეცნიერებითნი ნათელნი“, ერეკლესა და ანტონის ასეთი საქმიანობა უკვე 40-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ მას საგარეო-პოლიტიკური ვითარება დიდხანს აფერხებდა.

შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის 70-იან წლებში შეიქმნა. ეს პერიოდი დაახლოებით 1770-1785 წლებს მოიცავდა: „ჟამსა ამას, ფრიად ბედნიერებასა შინა იყო წარმართებულ სამეფო ქართლისა და კახეთისა; რამეთუ განევლო წელსა რაოდენსამე, რომელ არღარა მიელო ოხრება არცა უცხო თესლთაგან, არცა სრვისა და არცა სიყმილისგან, ხოლო უმეტეს ყუაოდა შორის ყოველსა საქართველოსა ქალაქი ტფილი ყოვლითა წარმართებითა“. მაშინდელი საზოგადო მოღვაწენი დიდად აფასებდნენ ერეკლე II-ის როლს „საქართველოსა შინა მეცნიერებითისა ოქროსა საუკუნოისა შემოყვანისათვის“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი თბილისის ისტორიაში განათლების წარმატების პერიოდია. დავით ბატონიშვილი არ აჭარბებდა, როცა ერეკლე II-ის დროინდელ საქართველოში სახალხო განათლების არსებობაზე წერდა. ერეკლე II-სა და ანტონ I-ს განათლების განვითარება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმედ მიაჩნდათ.

კათალიკოს ანტონ I-ის აზრით, განათლების შუქი თანაბრად უნდა ეფინებოდეს „მაღალთა და მდაბალთა“. განათლების განვითარების თვალსაზრისით მას იდეალად ესახებოდა ის მდგომარეობა, რაც მაშინ „რუსთა..., ფრანცისთა..., ანგლიელთა, პრუსიელთა“ ქვეყნებში არსებობდა.

სწორედ ამ მოსაზრებით იყო განპირობებული ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის პოლიტიკა განათლების დარგში, რასაც სულ მოკლე ხანში საყურადღებო შედეგი მოჰყვა; ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ეს შედეგი სამეფოს დედაქალაქში გამოჩნდა.

1755 წლის 1 იანვარს თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, გაიხსნა „სემინარია ფილოსოფიისა“ – უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. სემინარია მეფის ხარჯზე არსებობდა. მას განაგებდა მეფის დანიშნული რექტორი. სემინარიაში ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, გრამატიკას, რიტორიკას, სქოლასტიკას, ისტორიას, ფილოსოფიას (საკუთრივ ფილოსოფიას, ფიზიკას, მეტაფიზიკას, მორალის ფილოსოფიას, ლოგიკას), თეოლოგიას, მღვდელთმსახურების წესებს, არითმეტიკას, მათემატიკის საფუძვლებს... სემინარიის სახელმძღვანელოები (ორიგინალური ან კომპილაციური) შექმნა ანტონ I-მა. სემინარიის პროგრამა რუსეთის სემინარიების პროგრამათა მიხედვით იყო შედგენილი. სწავლება წარმოებდა ლექციური სისტემით, სწავლის დამთავრებისას ეწყობოდა აქტი, – საზეიმო შეკრება-გამოცდა, რომლის დროსაც იმართებოდა კურსდამთავრებულთა პაექრობა-შეჯიბრი. აქტს ზოგჯერ მეფე და კათალიკოსიც ესწრებოდნენ.

თბილისის სემინარიაში თავადაზნაურთა და სასულიერო პირთა შვილებს ლებულობდნენ, მდაბიონი სემინარიაში იშვიათად ხვდებოდნენ.

1741–1755, 1763 წლებში თბილისში არსებობდა კათოლიკეთა სასწავლებელი, რომელშიც გარდა სალვთისმეტყველო საგნებისა ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და ქართულ ენებს, არითმეტიკას.

არსებობს ცნობა, რომ 1780-1781 წლებში რაინეგსი და კათოლიკე პატრები მეფის სასახლეში სამეფო ოჯახის წევრებს ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს. იმავე ცნობით, რაინეგსს თბილისში გაუხსნია სამედიცინო სკოლა. ამ სკოლაში პატრებისაგან მედიცინის საფუძვლები შეუსწავლიათ, სხვათა შორის, ცნობილ ქართველ ექიმებს – ანტონ და თათულა ყარაშვილებს და სოლომონ I-ის ექიმს ისარლოვს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში არსებობდა კერძო დაწყებითი სასწავლებლების ფართო ქსელი, ქართველთათვის ასეთი სკოლები იყო ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. სკოლებში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას, გალობას, უფრო დაწინაურებულ მოსწავლეებს – გრამატიკას, ძველ ისტორიას და ფილოსოფიასაც. ამ სასწავლებლებში 400-მდე მოსწავლე იყო. სკოლების მუშაობას ზოგჯერ თვით მეფე ამოწმებდა.

ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რას სწავლობდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ქართველ არისტოკრატთა შვილები. გიორგი ბატონიშვილს (შემდეგ გიორგი XII) შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა და გრამატიკა, თურქული, ბერძნული და სომხური ენები, საქართველოს ისტორია („ქართლის ცხოვრება“), ფილოსოფია, ბიბლია, სახარება, გალობა... იოანე ქართველიშვილსაც თავისი დროისთვის კარგი განათლება მიუღია, შეუსწავლია სამეცნიერო წიგნები, იოანე დამასკელის ნაშრომები, ფილოსოფიური ტრაქტატი – პორფირი ტირელის „არისტოტელეს კატეგორიათა შესავალი“ და სხვ.

თბილისში კერძო დაწყებითი სასწავლებლები ჰქონდათ სომხებს და მაჰმადიანებსაც. ამ სკოლებში სწავლება მათ მშობლიურ ენებზე იყო.

საგარეო ურთიერთობათა გაცხოველებამ საჭირო გახადა უცხო ენების მცოდნეთა მომრავლება. XVIII საუკუნის თბილისელებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ ფრანგული, იტალიური, ლათინური, გერმანული, რუსული და აღმოსავლური ენები. 1788 წ. ახლო ხანებში თბილისში ქართველთათვის გაიხსნა კერძო სკოლა, რომელშიც რუსულ ენას ასწავლიდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში ქალთა განათლების განვითარება, რასაც ჩვენში უძველესი ტრადიცია ჰქონდა. თბილისელი ქალები საშინაო განათლებას ღებულობდნენ; მათ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ლოცვებს, არითმეტიკას, ხელსაქმეს... იოანე ბატონიშვილს მიაჩნდა, რომ ქალს „ნამდვილად უნდა ასწავლონ ყოველი მეცნიერება, ღეოღრაფია, ზნეთსწავლულება, არითმეტიკა, ხელთსაქმეობა და იკონომია“.

განათლებაზე ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე რჩებოდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. 1783 წელს ტრაქტატის დადების შემდეგ, რასაც ქართველ პოლიტიკოსთა ვარაუდით ქართლ-კახეთის სამეფოს აყვავება უნდა მოჰყოლოდა, ჩვენმა სახელმწიფო მოღვაწეებმა საჭიროდ მიიჩნიეს ძირეული რეფორმების ჩატარება, მათ შორის განათლების დარგშიც. დავით და იოანე ბატონიშვილების რეფორმათა პროექტებით თბილისში სახელმწიფო ხარჯზე უნდა გახსნილიყო საერო და სასულიერო სკოლები: მაღალი კატეგორიისა – თავადაზნაურთა და წარჩინებულ მოქალაქეთათვის, დაბალი – მსახურთა და ვაჭართა შვილებისათვის.

1795 წლის სექტემბრში თბილისის აოხრებამ ქალაქის საგანმანათლებლო-კულტურულ ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა. სემინარიამ და სკოლების უმეტესობამ არსებობა შეწყვიტა.

გაგრძელება იქნება

*მოამზადა*
***ანა ფირცხალაიშვილმა***

# „დაწყევლილი თაობის“ ფოტოქრონიკა

*პირველი გვერდიდან*

თითო ფოტოს თითო ტრაგიკული ისტორია და განაჩენის აღსრულების ერთი და იგივე ხელწერა – დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა, თავის მოკვეთა, სამაგალითოდ ცხედრების დასჯა, ყველაზე მთავარი, რაც ამ გამოფენის რეპრესირებულებს აერთიანებთ ქართული ხელოვნების მსახურებაა: მღერიან, ცეკვავენ, საგალობლებს ასრულებენ, წერენ, ხატავენ ან უბრალოდ ამ ნიშნით გამორჩეული ადამიანების ცოლები, დედები ან შვილები არიან... მათ გარშემო კი საქართველოში ჯერ კიდევ ბლომად ცხოვრობენ „კომკავშირულად დამკვრელი“ მამაცი ადამიანები (ტალე თეოდოსიშვილი 1926 წელი), რომლებიც რევოლუციის ნებას უზენაესად აყენებენ:

**მე მამას მოვკლავ,**
**დავახრჩობ დედას**
**რევოლუციამ თუკი**
**მიბრძანა.**

ხელისუფლების მორჩილების დასამტკიცებლად თვისტომთა დამსჯელი ჯალათები თვალის დაუხამხამებლად სჩადიან სისასტიკეს და ხელისუფალთა საამებლად ნივთმტკიცებად მხოლოდ თავებს სჯერდებიან...

*„თავის მოკვეთა თვისტომის ცხედრისთვის მარტოდენ შორეულ წარსულში არ დარჩენილა, ახალ დროშიც უნდა განმეორებულიყო და ამითაც გამოხატულიყო ეპოქისა და სახელმწიფო წყობის სისასტიკე და ზნეობის ახდენაც. ხელისუფლების მორჩილნი ცინიზმსაც არ ერიდებოდნენ, ჩვენიანებმა გვამები რად უნდა ათრიონ, ხალხის მტრებს ხან სად ვკლავთ და ხან სად, ნივთმტკიცებად თავიც საკმარისიაო. ამ მხრივ ყველაზე მეტად თორღვას ხეობის თუშეთის ტრაგედია იყო გახმაურებული...“* (როსტომ ჩხეიძე „დაწყევლილი თაობა“).

სწორედ ამ სისასტიკის მხვერპლნი აღმოჩნდნენ „სამანელები“ („საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები“).

სამანელთა ფიცის ტექსტი საბრალდებო დასკვნამ შემოგვინახა:

– შევდივარ „სამანში“;
– ვიბრძოლებ კომუნიზმის წინააღმდეგ;
– შევასრულებ ორგანიზაციის ყველა დავალებას და არავითარ შემთხვევაში არ გავცემ ჩემს ორგანიზაციას.

ამ ფიცის ერთგული 17 ქართველი ვაჟკაცი 1942 წლის 17 ოქტომბერს თბილისში დახვრიტეს. ამის შესახებ სამხედრო ტრიბუნალის საბრალდებო დასკვანში ვკითხულობთ: *„სოციალისტური წყობისადმი მტრულად განწყობილმა ახალგაზრდებმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნეს სამხედრო ფაშისტური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა მთავრობის დამხობას საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გზით და კაპიტალისტური ძალაუფლების აღდგენას ფაშისტური რეჟიმის პროტექტორატის მეშვეობით.“*

17 სიკვდილმისჯილიდან 12 უნივერსიტეტის ასპირანტი, მეცნიერ-მუშაკი და ერთიც სტუდენტი იყო:

კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე, გიორგი წიქვაშვილი, მიხეილ კაციტაძე, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ახობაძე, გიორგი იმერლიშვილი, კოტე ჯოგლიძე, გივი თარგამაძე, მიხა საბაშვილი, ზურაბ მისაბიშვილი, შალვა შავიანიძე. შეთქმულთა ამ ჯგუფის აქტიური წევრი იყო ადამ ბობლიაშვილი - ალვანელი (დაიბადა 1912 წლის 12 მაისს, მაშინდელი თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში). *„17 წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ მადევსა“*, ამოსთქვამს ადამ ბობლიაშვილი, მაგრამ არათუ დაინდობენ მის სულამოსულ ცხედარს, თავს აჭრიან თორღვას ხეობაში 1943 წლის 18 მარტს.

უკანასკნელი ცოცხალი სამანელი, გოგალე ხოხიაიძე, რომელსაც დაკარგული აქვს თვალის ჩინი, აი, რას იხსენებს (ჩაიწერა ამირან არაბულმა): *„ათი წელი პატიმრობაში გავატარე, ექვსი წელი გადასახლებაში, ყაზახეთში კუსტანას ოლქში. ჯერ თელავის ციხეში ჩამსვეს, შემდეგ თბილისის, ბაქოს, კრასნოდარის, ასტრახანის საპატიმროები შემომატარეს. სულ საბჭოთა კავშირის 22 ციხეში ვარ შესულ-გამოსული და ნაცხოვრები. ასტრახანის ციხეში ჩემთან ერთად სხვა ტყვეებიც იყვნენ: არსენ აბულიძე, მათე იჩუაიძე, იროდი კიბორჭაიძე, მათე დევდარაიძე, საბა ქურთუშიძე, არც ერთი საქართველოში აღარ დაბრუნებულა, ყველა იქ მოკვდა. აბანოსხევში, 1943 წლის მარტში, სამი კაცი მოკლეს: ადამ ბობლიაშვილი, მიხაკო იმედიძე, დეკანოზ თავზერიძე. ადამს და მიხაკოს თავები მოაჭრეს, მოჭრილი თავები დატყვევებულ სამანელებს ომალოში ზურგით ჩაატანინეს, შემდეგ მოჭრილ თავებს სურათი გადაუღეს და წვერმოშვებული თავები, ხითხითით „რომელი კაცი“ აჯობებსო, ქარაფზე დააგორეს. აბანოს ხევზე რომ ჩამოგვატარეს, თოკზე ჩაბმულები დავინახეთ, როგორ ესეოდნენ სვავები დახოცილთა უთავო მხედრებს. ამ საზარელი სურათის ნახვამ ლექსიც მათქმევინა:*



***ელენე ვირსალაძე***

*„გავიგე, ვნახე ამბავი,*
*თორღვას აბანოს გზაზედა,*
*თოვლზე ეყარა ცხედრები,*
*თავებ არ ჰქონდა ტანზედა. “*

კოტე ჭრელიშვილი წერს: *„...სუსხიანი ამინდი მძვინვარებდა... ჰაერში თოვლის ბურუსი ტრიალებს. სოფელ ბეჭოდან (თუშეთი, სადაც მათი შტაბი იყო) აიყარა აჯანყებულთა რაზმი და თოვლიან მთებს შეუდგა. ესენი იყვნენ: ადამ ბობლიაშვილი, გიგო ქაძე, არჩილ კიტოშვილი, დეკანოს ამირანიძე... მათი კახეთისკენ წამოსვლა თითქოს მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ როგორც იტყვიან ეშმაკს არ ეძინა. ვიღაცამ გასცა და ომალოდან მდევარი გამოუყენეს, როგორც იქნა თოვლიანი უღელტეხილი გადმოლახეს, პირი კახეთისკენ ქნეს და გულს მოეშვათ. დაქანცულებმა თავი გამოქვაბულს შეაფარეს. გათენდა. ადამ ბობლიაშვილი გამოქვაბულიდან გამოდის და თურქეთის თოვლიან მწვერვალებს თვალს ხარბად მიმოავლებს. ამ დროს კვალდაკვალ გამოდევნებული მდევარი თოფის ნიშანში იღებს და ადამის წმინდა სისხლმა მთის ქათქათა თოვლი შეღება. თოფის გასროლაზე გამოცვიდნენ სხვები, კვლავ გასროლა. ადამის ბედი გაიზიარა მიხეილ იმედიძემ და დეკანოზ ამირანიძემაც. ისტორიას არ ახსოვს ასეთი ვერაგული დანაშაული, სიკვდილი არ იკმარეს, გამხეცებული მკვლელები მიცვივდებიან და როგორც ცხვრებს თავებს აჭრიან, რათა გამარჯვების ნიშნად მიართვან მათ, ვინც ასეთი ბარბაროსული დავალების შესრულება უბრძანათ. მხილველთა გადმოცემით არჩილ კიტოშვილს უბრძანეს, მოჭრილი თავები აეკიდა. მან ეს დამამცირებელი ბრძანება არ შეასრულა, გაცოფებულ სუკის წარმომადგენელს დაუყვირია არჩილისთვის: შენ იცი, მე ვინ ვარო? ვიცი, შენ სტალინის გაწვრთნილი ლეკვი ხარ, – სიმწრით უპასუხია არჩილ კიტოშვილს.“*

*„არჩილ კიტოშვილი ჩემი მასწავლებელი იყო. ერთ დღესაც ხმა დაირხა სოფელ ქომელაურთუბანში, არჩილი მოყავთ სხვა ბიჭებთან ერთადო. თოვლი იდო, გამოვიშალეთ მთელი სოფელი. გამოჩნდნენ ფეხშიშველები, ხელებშეკრულები, ქათქათა თოვლზე სისხლის წითელი ნაკვალევი ჩანდა, თქრიალით სდიოდათ ბიჭებს დახეთქილი ფეხებიდან სისხლი, ჩვენმა დედებმა დანაყილი ნიორი გამოიტანეს, ფეხები მაინც შევუხვიოთ დამზრალ-დამსკდარიო. ის, ვინც მოჰყვებოდა, თანახმა იყო, მაგრამ არჩილმა თავისი გაიტანა, არ გატყდა, არაფრით არ შეახვევინა დასისხლიანებული ფეხები. ცოტა შეადოდგოვეს (შეაჩერეს) და ისევ გააგრძელებინეს ბიჭებს გზა. მიდიოდნენ და უკან მიჰყვებოდათ სისხლის ნაკვალევი. იმის შემდეგ არჩილ კიტოშვილი აღარ მინახავს.“*

კესო ბოუღაიძე-თათარაიძისა

*„იმ შავ დღეს დეკანოზის ცხედარი იქვე დააგდეს, ადამისა და პანწალას გვამები ყვავყორანთა საწიწკნად ხევში დაყარეს და დამარხვა არც ერთს არ აღირსეს. “*

როსტომ ჩხეიძე, „დაწყევლილი თაობა“

საბჭოთა რეჟიმი არ ინდობს არავის და არაფერს (!) და ბოლშევიკურად დაწერილი განაჩენი სისრულეში მოჰყავს – სოციალიზმის ყველა მავნებელს სამაგალითოდ ხვრეტს:

*******

ვაშა, გპუ შენი განაჩენი,
ბოლშევიკურად არის დაწერილი.
როგორც პოეტმა პოლიტიკურმა
უნდა შეასრულოს შენი გაკვეთილი.

სოციალიზმის ყველა მავნებელი
დიქტატორის ტყვიით იყოს დახვრეტილი.
ვაშა, გპუ შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი.

(პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია ,
ფრიდონ ნაროუშვილი, 1931 წელი.)

1922 წელს სათიბში ნამყოფ ლევან რაზიკაშვილს აპატიმრებენ. ლევანი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანაგიმნაზიელი იყო. ის დიდხანს თიანეთში ჰყოლიათ დაპატიმრებული, შემდეგ მეტეხში ჩამოუყვანიათ და დახვრეტა მიუსჯიათ, 1923 წლის თებერვალში ლევან რაზიკაშვილი დახვრიტეს.

როდესაც ქართველმა ინტელიგენციამ სთხოვა ორჯონიკიძეს, დაენდო ლევან რაზიკაშვილი როგორც ვაჟა-ფშაველას მემკვიდრე და არ დაეხვრიტა, გაგულისებულმა ორჯონიკიძემ წამოიყვირა: ლევანს კი არა, ვაჟა-ფშაველა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც სიამოვნებით დავხვრეტდიო.

*„...მე თიანეთში ვნახე ცხენზე შეესვათ...*

*...არა ჰქონდა დაკითხვა, არა. ეგრე გამოიყვანეს და მოკლეს ნადირივითა, არ იფიქრეს ემ კაცის შვილია და ვკითხოთ, მტყუანია თუ მართალიაო და...*

*დაიგმინებდა, გადაბრუნდებოდა მამაი საფლავში... ერთხელ მკვდარი კვლავ მოკვდებოდა. ვაი, შენ დასაცა და მიწაი, ლევან, მიწაი...* (გულქან რაზიკაშვილი, „მამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“)

სასტიკად დასჯილთა სია გრძელია: სტეფანე ფიცხელაური, დაიბადა ყაზბეგში 1912 წელს, იგი თავის დებთან და ძმებთან ერთად იბრძოდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. სტეფანე ფიცხელაურს 1942 წლის სექტემბერში თავი მოჰკვეთეს;

სანდრო მჭედლიშვილი, მიხა ჯიღაურის



***დათაშკა კავსაძე ოჯახთან ერთად***



***ვახტანგ კოტეტიშვილი სტუდენტებთან ერთად***

გუნდის წევრი, დაიჭირეს 1937 წელს;

ალექსანდრე ბარამიძე, ქერჩში მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა, სამშობლოში დაბრუნებულმა 6 წელი საბჭოთა ბანაკში გაატარა, 1951-53 წლებში ბარამიძეების ოჯახი ყაზახეთში გადაასახლეს;

საქულა გალუსტოვი, მიხა ჯიღაურის გუნდის წევრი, 1937 წელს დაიჭირეს და გადაასახლეს;

ზაქარია მჭედლიშვილი, 1937 წელს მოსკოვში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე გამგზავრების წინ დაიჭირეს და გადაასახლეს, გაათავისუფლეს 12 წლის შემდეგ, გარდაიცვალა 1985 წელს;

ბარამ ბარამიძე, ეთნომუსიკოლოგი, 1951-53 წლებში 15 წლისა გადაასახლეს ყაზახეთში;

ბესარიონ გელიაშვილი ტყვეთა გუნდის წევრი, 1941 წელს ტყვედ ჩავარდნილი იმყოფებოდა დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში, ბანაკიდან დათაშკა კავსაძემ და ვალოდია ხარბედიამ გამოიყვანეს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს და გადაასახლეს ყაზახეთში, განთავისუფლდა 1956 წელს;

აკაკი ტატიშვილი ქართველ ტყვეთა გუნდის წევრი, 1941 წელს ტყვედ ჩავარდა, 1946 წელს დაბრუნდა გერმანიიდან, 1948 წელს დაიჭირეს და გადაასასახლეს, 1955 წელს გაანთავისუფლეს;

რაჭული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი – სამი რეპრესირებული, გვარები უცნობია;

ზემო სვანეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი – 1929 წელი, მურზაყან დადეშქელიანი, ფოლკლორის უბადლო მცოდნე, დახვრიტეს 1937 წელს;

შოთა აბაშიძე, ქორეოგრაფი, ემიგრანტი, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა, ცხოვრობდა საფრანგეთში, ქართველ ემიგრანტებს ასწავლიდა ქართულ ცეკვებს, ქართველ ქორეოგრაფებთან – ილია ჯაბადარსა და სერგო კოხრეიძესთან ერთად პარიზში დადგა ბალეტი „კავკასიელი ტყვე“;

ქორეოგრაფისა და ქორეოლოგის რევაზ ჭანიშვილის მშობლები: მამა – რუბენ ჭანიშვილი დახვრიტეს 1938 წელს, დედა – ნატალია გორდელაძე გადაასახლეს, შვილები: რეზო და მისი და, დედის დაბრუნებამდე იზრდებოდნენ ბავშვთა სახლში;

ალექსანდრე ზარდიაშვილი, ქართველ ტყვეთა გუნდის წევრი, ომში წასვლამდე მღეროდა ლევან მუღალაშვილის ანსამბლში, ტყვედ ჩავარდა და მოხვდა საკონცენტრაციო ბანაკში. ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, დაიჭირეს და გადაასახლეს, გაანთავისუფლეს 1956 წელს;

ლონგინოზ ჩიჯავაძე, ცნობილი ეთნომუსიკოლოგ ოთარ ჩიჯავაძის მამა. ინჟინერი, ხრამჰესის ჰიდროელექტროსადგურის ავტორი, დახვრიტეს 1937 წელს;

პეტრე ქუთათელაძე (სამსონიძე), ხონის ბოლშევიკური კომიტეტის წევრი, მწერალი, დრამატურგი, პიესების – „სალტე“ „პირველი ქარტეხილი“, „ეწერის“ ავტორი, დახვრიტეს თანამოძმეებმა 1937 წელს, რადგან ტროცკისტობა გაუხსენეს. მისი პიესები იდგმებოდა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში და ა.შ.

გამოფენის ერთი კუთხე 1937-46 წლებში

ყაზახეთში გადასახლებულ ე.წ. „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლების ამსახველ ფოტოქრონიკას დაეთმო:

ანაიდა ბაღათუროვა-სტეფანიანი, თამარ გვეტაძე, კაროლინა შენგელი, თამარ ქუთათელაძე, ლიზი კიწმარიშვილი, მარგარიტა გენინი, ნინო ზაალიშვილი...

მარიამ ბაგრატიონ-მუხრანელი, მანია, მხატვარი, სოლიკო ვირსალაძის მეუღლე. ოჯახთან ერთად ემიგრაციაში იმყოფებოდა 1921 წლიდან. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 40-იანი წლებიდან ისევ რეპრესირებულია. საქართველოში მუშაობდა ბატიკის საამქროში, დაკრძალულია სვეტიცხოველში.

1937-46 წლებში „ალჟირის“ (ყაზახეთში ყარაგანდის მახლობლად, კამოლენსკში) ბანაკებში სასჯელს იხდიდა ე.წ. სამშობლოს მოღალატეთა 7257 მეუღლე. მათ ბრალდების იგივე მუხლი მიუსადაგეს, რაც მამაკაცებს, ქალებს სასჯელი მხოლოდ იმიტომ უნდა მოეხადათ, რომ მოღალატეთა დედები, ცოლები, ქალიშვილები იყვნენ. ამ ქალებისთვის შექმნილ სპეციალურ ბანაკებს ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომატების ბავშვთა სახლებში გაგზავნეს რეპრესირებულ მშობელთა 17 355 ბავშვი, დამატებით უკრაინის ბავშვთა სახლებში გაიგზავნა 5 ათასი ბავშვი. რეპრესირებული ქალები ბანაკებში ხალხური რეწვით დაასაქმეს, ძირითადად, ქსოვა-ქარგვით. მათი ნამუშევრები შემდგომ გასაყიდად იგზავნებოდა.

ოცდაჩვიდმეტში ლავრენტი ბერიას „ბრძნული ხელმძღვანელობით“ ხელოვნებაში დიდ მიღწევებს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ასე აფასებს:

*„განა შეიძლება, ძველი კულტურა ახალი მებრძოლი მასების კულტურას შევადაროთ? ხელოვნების ფრონტის ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორი არის ამხანაგი ლ. ბერია. ყველა მიღწევა მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში და საერთოდ კულტურის ყველა დარგში მისი ბრძნული ხელმძღვანელობის და თაოსნობის შედეგია“,* („ლიტერატურული საქართველო“, 1937 წელი).

ამ „ბრძნული ხელმძღვანელობის“ შედეგი იყო, ალბათ, ხალხის კიდევ ერთი „მტრის“ ცნობილი ქართველი მეცნიერის და ხელოვანის, ლიტერატორის, ფოლკლორისტის, ხალხური სიტყვიერების მეცნიერული კვლევის ფუძემდებლის, ვახტანგ კოტეტიშვილის დახვრეტა (ვახტანგ კოტეტიშვილი დაიბადა 1892 წლის 25 ოქტომბერს, 1937 წელს დახვრიტეს).

*„ვახტანგ კოტეტიშვილს ხშირად უყვარდა ფოლკლორის შედარება იმ ზღაპრულ ჭასთან, რომლიდანაც რამდენიც არ უნდა ამოიღო წყალი მაინც არაფერი აკლდება და ეს შემთხვევითი არ იყო. ის კარგად იცნობდა ამ ზღაპრულ ჭას და ხარბად ეწაფებოდა. ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციებს ხშირად სხვა ფაკულტეტებიდან მოსული სტუდენტებიც უხვად ესწრებოდნენ, ისე მჭიდროდ ვისხედით ჩაწერის საშუალებაც არ გვქონდა. ვახტანგ კოტეტიშვილს ლექციებზე ხშირად ფანდური შემოჰქონდა და დემონსტრაციას უკეთებდა, თუ როგორ წარმოედგინა მას ამა თუ იმ ხალხური ლექსის შესრულება უძველეს დროში. ეს „სენსაციაც“ ბევრს იზიდავდა,“* – წერს დ. გამეზარდაშვილი. მისი განაჩენის მიზეზიც ხომ სწორედ ფოლკლორის ასეთი „სენსაციური“ სიყვარული გახდა.

საბჭოთა რეჟიმს არც მუშა და გლეხი რჩებოდა ყურადღების მიღმა და მათი მცდელობა – **„კულტურული და განათლებული გავხადოთ ყველა მუშა და ყველა გლეხი“** – საჩვენებელ ხასიათს იღებდა.

ასეთი საჩვენებელი სიკვდილით დასაჯეს საკუთარ დაბადების დღეს ცნობილი ხალხური მელექსე, მიხა ხელაშვილი. მიხა ფშავში, სოფელ ახათაში დაიბადა, 1900 წლის 25 იანვარს. დაუნდობლად მოკლეს 1925 წლის 25 იანვარს. მიხა ამ დღეს 25 წლის გახდა. *„მიხას დედა ავხუშოდან ხოდაში მიედინებოდა, ვირზე ეკიდა მცირე ბარგი. მილიციელ კომკავშირელნი დაუხვდნენ მას. ჯერ ხანჯლის წვერებით დაჩხვლიტეს, მერე ტყვია ჰკრეს და იქვე მოკლეს. ამ ამბავმა მწარე სიტყვები ამოათქმევინა მიხას:*

*„სინათლის სხივი გამიქრა,*
*ბნელით მაიცო მიწაო,*
*სისხლით და ცოდვით აივსო*
*მხარეო არაგვისაო.“*

მიხას ღალატით, ძმადნაფიცის ხელით, ვერაგულად კლავენ, ზოგი ვერსიით კი კაცისკვლაში გამოწრთობილმა კომკაშირელმა მოკლა, ლევანს (მიხას ძმადნაფიცს) ხელის აკანკალება რომ შეატყო. მიხას ცხედარი გამთენიისას ჩამოიტანეს საფიხვნოში და იქ დააგდეს ხალხის დასაზაფრად. მერე ცხენგამობმულ მარხილზე დააკრეს, დუშეთში ჩამოიტანეს და მილიციის ეზოში დააგდეს. იქ ტანსაცმლის გახუნებამდე და დასახსრებამდე, სხეულის ნაწილ-ნაწილ დაშლამდე ნაგვემი ცხედარი ხელაშვილის კაცობისა და ლექსის პატივისმცემელმა ერთმა ხევსურმა მილიციელმა – ტუჩა ქეთელაურმა მიხას დას, სალომეს მოაპარინა. სალომემ ნაწილ-ნაწილ ჩააწყო მიხას დაშლილი ძვალი ხურჯინში და ღამე ტყეტყე სიარულით და დღე მალვით ააღწია ჩარგლამდე, წინასწარ, წამებული დედის საფლავის გვერდით ძმის ტვინისა და თმების ნაძოძისათვის გათხრილი სამარე გახსნა და მიხა ხელაშვილის ნაწამები ნაწილები სამუდამო განსასვენებლად მიწას მიაბარა.

**ძირს რელიგია და სამღვდელოება, გაუმარჯოს კომუნიზმს! ეკლესიის მიმდევარნი რევოლუციის ზურგში ხანჯლის ჩამცემნი!** – არც ეს ლოზუნგები ჰქონდათ საბჭოელებს მხოლოდ ლოზუნგებად. განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ სასულიერო პირებს, წამებით კლავდნენ მღვდლებს, თავებს აჭრიდნენ ქართული საგალობლების გადამრჩენლებს და ანგრევდნენ ეკლესიებს... ამ მდგომარეობით აღშფოთებული ვასილ კარბელაშვილი სტალინს წერდა:

*„დიდად პატივცემულო ბატონო სოსო, გაგიკვირდება ძველი მასწავლებლის მოგონება და ასეთი გრძელი წერილი, რომელმაც უნდა მოგაგონოს რაც იყო, ჩაგაფიქროს რაც არის და გაგათვალისწინებინოს რაც იქნება. ადრეც გითხარი და ახლაც გეტყვი: ვაი, იმ ხალხს, რომელიც ისტორიას ანგარიშს არ უწევს, განათლებას და შეგნებას გაურბის და ქრისტეს მოძღვრებასაც ანგარიშს არ უწევს. სამეგრელოში ზარის ხმა არ ისმის, დაკეტეს ეკლესიები, მღვდლებს კრეჭენ, ხელფეხშეკრულს აპატიმრებენ. ნუთუ ამისთანა ამბები სასარგებლო და ხელსაყრელია თვით მთავრობისათვის. სამთავროს, სვეტიცხოველსა და სხვა ტაძრებს უპირებენ თეატრებად გადაქცევას. აღდგომის ღამეს ბევრი ეკლესია დაკეტეს და ლიტანია მოუსპეს. დიდ ძალმომრეობას ხმარობენ ეკლესიაზე, მღვდლებზე, რაც ხალხში დიდ და ჩემს უკმაყოფილებასაც იწვევს. ხალხში ბოროტება ვრცელდება, ზოგიერთ ადგილებში მორწმუნე ერმა მიმართა იარაღს ასეთი ძალადობისთვის ეკლესიაზე და საზოგადოებაზე. ბევრი რამ არის მოსაწერი, მაგრამ აღშფოთებული მდგომარეობა ნებას არ მაძლევს, რომ დაწვრილებით მოგწერო ყველაფერი. თუმცა მეშინის დატვირთული ხარ და ყურადღებით არ გადაგღალო. სოსო! როგორი რწმენისაც გინდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ და საქართველოს მიწამ გამოგზარდა. სამშობლოსა და ერის სიყვარულს ვერარა დაშრეტს შენს გულში. კიდევ გთხოვ, რომ ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ლმობიერება გამოიჩინონ.*

*რას აძლევთ ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სიწმინდეს და უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შეეძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე? ნუთუ მარტო მაგისთვის იბრძვი, რომ სომხები, ოსები და ურიები არ წამოასხა კისერზედ ქართველ ხალხს. საზღვრები ჩაარჭეს საქართველოს ყველა მხრიდან და აღარ იციან როგორ შეავიწროონ ტერიტორია. იქნებ გწყინს ჩემო სოსო, ბევრის მნახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს. იმედია ყურად იღებ და მოალბობ ჩემს გულს და მალე სანუგეშოს მომწერ, რომ აღარ განმეორდება და ანუგეშებ შენ მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც ბევრად შესტკივა შენზე გული. პასუხს ველი.“*



***ადამ ბობღიაშვილი-ალვანელი***

დიდი სტალინის პასუხი სანუგეშო არ აღმოჩნდა ვასილ კარბელაშვილისთვის, რადგან ისევ გაგრძელდა სისხლიანი ისტორია...

მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებში რეპრესირებულ სასულიერო პირთა ამსახველი ფოტოქრონიკა ასეთია: ძმები – ანდრია და პეტრე კარბელაშვილები 1924 წელს დახვრიტეს – მათ ქართული გალობა ჩაიწერეს და გადაარჩინეს კარბელაანთ კილო;

რაჟდენ ხუნდაძე, დეკანოზი, ჩაიწერა და გადაარჩინა ქართული საგალობლები, მას აუკრძალეს მღვდელთმსახურება და არ აძლევდნენ პენსიას;

ესტატე კერესელიძე, წმინდა ექვთიმე აღმსარებელი 2003 წლიდან, 1924 წელს ფარულად გადაზიდა და სვეტიცხოვლის წიგნთსაცავში გადამალა ქართულ საგალობელთა ხელნაწერები. მიაკვლია ძილისპირთა უძველეს კრებულს და ნოტებზე გადაიტანა;

ნესტორ კონტრიძე, მღვდელი, მგალობელი, დასავლური გალობის უბადლო მცოდნე და გადამრჩენელი. შემოაკვდათ წამებისას;

მელიტონ კელენჯერიძე, დეკანოზი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი. მართლმადიდებლური მრწამსისა და აქტიური თეოლოგიური საქმიანობის გამო საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი და შევიწროებული;

და სხვები...

და კიდევ ერთი პასუხი სტალინისგან: რეპრესირებული კავსაძეები. დათაშკა კავსაძე, სანდრო კავსაძე – ქართლ-კახური სიმღერის მომღერალთა გუნდი, ხელმძღვანელი სანდრო კავსაძე.

დავით (დათაშკა) კავსაძე, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარი, 1936-1941 წლებში. 1941 წელს ტყვედ ჩავარდა ქერჩში. 1941-45 წლებში ქართველ ტყვეთა გუნდის ლოტბარია. ბევრი ქართველი თუ არაქართველი იხსნა საკონცენტრაციო ბანაკებიდან. 1945 წელს სამშობლოში მომავალი სოჭში დააპატიმრეს და გადაასახლეს. აღარ დაბრუნებულა.

ასეთი სისასტიკით ჩადენილ ქართველი ინტელიგენციის რბევას შემდგომ ასეთ შეფასებას აძლევდნენ – ვიაჩესლავ მოლოტოვი: *„მიმაჩნია, რომ რეპრესიები ძირითადად გამართლებული იყო. არის ტენდენცია, ბევრი მსჯავრდებული, თითქოს, ტყუილუბრალოდ დაიჩაგრა. უმეტესად დაისაჯნენ დამნაშავენი, რომლებიც აუცილებლად რეპრესირებულნი უნდა ყოფილიყვნენ“.* მეტიც, ორჯონიკიძე ქართულ ინტელიგენციას გაბუტვას სწამებდა და რჩევასაც აძლევდა: *„ჩვენი ინტელიგენცია თავის ბუტიაობას ეროვნულ ქურქში ახვევს. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია, ან მტრობა ან მოყვრობა. მტერს მტრულად მოვეპყრობით, მოყვარეს მოყვრულად“.* მტრულად მოუწია მოპყრობა ვირსალაძეების ოჯახსაც. ელენე ვირსალაძე, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფოლკლორისტი (დაიბადა 1911 წელს) 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ჩრდილოეთში 5 წლით, 1943 წელს გადაიყვანეს შუა აზიაში. ამავე წელს გაათავისუფლეს, გარდაიცვალა 1977 წელს.

სასწაულებიც ხდებოდა: თარხნიშვილების ქართლ-კახური სიმღერების გუნდის წევრი დიმიტრი თარხან-მოურავი – მარო თარხნიშვილის მეუღლე – 1924 წელს გორში დახვრიტეს, მამასთან ერთად ხვრეტდნენ 15 წლის ივანე თარხან-მოურავსაც, დედამ მიუსწრო და შვილი გადაარჩინა...

ასე დაიხვრიტა დიქტატორის ტყვიით „სოციალიზმის ყველა მავნებელი“... ამ ადამიანებს კომუნისტების „წყალობით“ მართალია სიცოცხლე მოუსწრაფეს, მაგრამ ყველამ მოასწრო ეროვნული საქმის კეთება, მათი სულიერი ორიენტირი დღესაც ერთადერთი სწორი გზაა, ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, ამ ადამიანების დამსახურებით ვერ მოსპეს ის, რითაც ერმა თვითმყოფადობა დღემდე შეინარჩუნა.

**„რას აძლევთ ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სიწმინდეს და უსპობთ დიდებულ კულტურას“** – სტალინის მიერ უპასუხოდ დარჩენილ ვასილ კარბელაშვილის კითხვას ათწლეულების შემდგომ ამ გამოფენამ გასცა პასუხი.

***ლალი ჯელაძე***



***ძმები ანდრია და პეტრე კარბელაშვილები (დგანან)***

მოსწავლე შემოქმედი

# „კაცსა ფიცნი გამოსცდიან“

**ავთანდილ კოზალაძე**
თბილისის 21-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე

ხელმძღვანელი – რუსუდან მეგრელიშვილი

საქართველო თავისი ისტორიის განმავლობაში ერთადერთხელ იყო საუკეთესო. მაშინ კაცი კაცობდა, ქალი ქალობდა და ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა. მაღალი იყო ზნეობა და მორალი, იყვნენ ბრწყინვალე რაინდები და მშვენიერი ქალბატონები. მათი სიტყვა, აზრი და საქმე ერთი იყო. ყოველივე ეს „ვეფხისტყაოსანში“, XII საუკუნის ქმნილებაში, აისახა. ნაწარმოებში უამრავი საინტერესო რამაა გადმოცემული, ჩემი ყურადღება კი ფიცმა მიიქცია.

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება დაფიცება. ამ პოემაში ფიცს საკუთარი სიმართლის, სიტყვების და ქმედებების დასამტკიცებლად იყენებენ. მაგრამ რა არის ზოგადად ფიცი და რა მნიშვნელობა აქვს მას ამ პოემაში?

ფიცი არის ღვთის წინაშე დამტკიცება სიტყვისა, რომელსაც კაცი წარმოთქვამს. დაფიცებით კაცი ადასტურებს ღმერთის წინაშე, რომ ის მართალია და დაპირებულს შეასრულებს. ღმერთზე დაფიცება, რომელიც ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, გულისხმობს რომ ღმერთი არის ამ თქმის გამგონე და თანამოწმე და ამ ფიცის დარღვევის შემთხვევაში კაცი პასუხს აგებს ღვთის წინაშეც. სწორედ ამიტომ არის ტყუილი ცოდვა. ანუ ფიცი წმინდა სიტყვაა, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით წარმოითქმება. მის გამტეხს სასჯელი მოელის ამქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ რელიგიაზე ვსაუბრობთ – ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროშიც ფიცი წმინდაა და მისი გატეხა ცოდვაა.

„ვეფხისტყაოსანში“ ფიცის თემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და ის ხშირად დავის საგანიცაა მეცნიერებს შორის. პოემაში ჩვენ არ ვხვდებით სისხლით დაფიცებას, ანუ თითიდან სისხლის გამოშვებით ფიცს. მასში ყველგან გამოყენებულია ფიცის უფრო ცივილური და ჰუმანური ფორმა – სიტყვით დაფიცება. „ვეფხისტყაოსანში“ ფიცი მრავალი სახისაა, თუმცა მათ შორის გამოვყოფთ რელიგიურ ფიცს, რომელიც გულისხმობს ღმერთზე, ცაზე, მზეზე, მიწაზე, სულზე დაფიცებას. ასევე გვხვდება საღმრთო წიგნზე დაფიცება. როდესაც საღმრთო წიგნზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ვგულისხმობთ მაჰმადიანთა რელიგიურ წიგნს – „ყურანს“. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები სხვა ჩვეულებრივ საგნებზე და მოვლენებზეც იფიცებენ. მეცნიერი ვიქტორ ნოზაძე თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“ აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანში გვაქვს ფიცის საგნობრივი ერთი წესი: ესაა დაფიცება წმინდა წიგნზე. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფიცი პოემაში ხდება სიტყვიერად, მხოლოდ საფიცარის ხსენებით. უმთავრესია, რასაკვირველია ფიცი ღმერთზე და ცაზე“.

ვაზირთან საუბარში არაბეთის სპასპეტი ამბობს: „კაცსა ფიცნი გამოსცდიან“. ანუ კაცის კაცობა იზომება, თუ რამდენად შეუძლია მას იყოს სიტყვის პატრონი, ფიცის ერთგული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება რელიგიური ფიცი და ფიცი ჩვეულებრივ საგნებზე. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

ნესტანი ტარიელს თავის სიყვარულს ფიცით უდასტურებს: „გეცრუო ღმერთმან მიწა მქნას...“ ანუ ის ღმერთზე იფიცებს. ღმერთზე დაფიცების კიდევ ერთი მაგალითია, როდესაც ავთანდილი ტარიელს ეუბნება: „ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს...“

პოემაში ფიცი ცაზე იგივეა, რაც ფიცი ღმერთზე, ამიტომ როდესაც ტარიელი ნესტანს ეფიცება „ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩათვის ნუ შუქნია“ – ის ღმერთზე იფიცებს.

სჯულზე ფიცი, რომელიც დღეს გავრცელებულია და „ვეფხისტყაოსნის“ ფიცთან შედარებით ზნეობრივი შინაარსი გამოცლილი აქვს, მეკობრეების ეპიზოდში გვხვდება. დამარცხებული მეკობრეები ავთანდილს სჯულს აფიცებენ: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა“.

ფიცი თავზე დღესაც გავრცელებულია და ის „ვეფხისტყაოსანშიც“ ბევრ ადგილას გვხვდება, მაგალითად: გაჯავრებული ინდოეთის მეფე ფარსადანი თავის დას ემუქრება და თავის თავს იფიცებს: „აწ თავსა ჩემმან, მას მოვკლავ...“ ასევე განრისხებული როსტევან მეფე ვაზირს ემუქრება: „თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ არად უნდა ამას ცილი“.

პოემაში უმაღლესი პატივისა და სიყვარულის გამოხატვაა სიკვდილზე ფიცი. ნესტანი ავთანდილს ეუბნება: „შენთვის მოვკვდე, ამისებრი მემცა საქმე რა ვიღონე“.

„ვეფხისტყაოსანში“, ასევე, გვხვდება აღმოსავლურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფიცის ფორმა – წვერზე დაფიცება. კაცი საკუთარ წვერზე იფიცებდა და მასზე ხელს იკიდებდა. ასეთი ფიცი დადო ჭაშნაგირმა, როდესაც ფატმანს დაემუქრა: „დავშალო, წვერთა ფუ მიყავ...“, „ესე თქვა და კაცმან წვერთა მოიზიდნა“.

პოემაში გვხვდება დღეს ფართოდ გავრცელებული ფიცი ძმობაზე. ავთანდილი ვაჭრებს აფიცებს: „თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა“.

ესაა მცირეოდენი ჩამონათვალი ფიცის სახეობებისა, რომლებიც გვხვდება პოემაში.

ფიცი არის მტკიცე და მისი გატეხა ცოდვაა. პოემაში მიცემული ფიცი ორად-ორჯერ დაირღვა. პირველად ის რამაზ მეფემ დაარღვია: ხატაეთის დასალაშქრად მიმავალ ტარიელს რამაზ მეფის მოციქულმა უთრა:

„ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი,
მოურბევლად მოგახსენებთ თავნი, შვილნი, საქონელი“.

სიტყვა ზენაარი დღესაც დისკუსიის საგანია. ვიქტორ ნოზაძის ცნობით, ის სპარსულიდან 2 მნიშვნელობით ითარგმნება: 1. შეწყალება, შებრალება; 2. აღქმა, ფიცი. ხოლო ეს ტაეპი შეიძლება ასე განვმარტოთ: შეგვიწყალე და ჩვენი ფიცი მიიღე, დამორჩილების ნიშნად ყელს წნელი გვაბიაო. მოგვიანებით რამაზ მეფე ფიცს გატეხს და ტარიელს მუხანათურად დაესხმება თავს. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ფიცის დამრღვევი ისჯება ამქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც. როგორც ვიცით, მუხთლობის მიუხედავად, იგი დამარცხდა და მისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანი დაკარგა (ძალაუფლება, ქონება, ტიტული).

მეორედ უსენმა ფარსადანის წინაშე დადებული ფიცი დაარღვია. თუ რამაზ მეფის შემთხვევაში მისი საქციელი ცოტათი მაინც შეიძლება გავამართლოთ და სამხედრო გადაწყვეტილებად ჩავუთვალოთ, უსენს გამამართლებელი არაფერი აქვს.

სანამ ფატმანი ნესტანის შესახებ რამეს მოუყვებოდა, მან უსენი დააფიცა, რომ საიდუმლო არ გაეცა. უსენი ამბობს:

„ფიცი ფიცია საშინელი: „თავიცაო კლდეთა ვიცე“.

ანუ უსენმა ფატმანს საკუთარი სიცოცხლე შეჰფიცა – თუ გაგცე თავი მოვიკლაო. ფატმანიც დარწმუნებულია თავის ქმარში და ამბობს კიდეც:

„სულსა ვერ წასწყმეტს, ვერა იქმს ფიცისა გაცუდებასა“.

„დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსა ნი, რა მექანი!“

ამბობს ქმარზე გაბრაზებული ფატმანი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია. უსენს საკუთარი სიცოცხლე აქვს დაფიცებული, მან კი ფიცი დაივიწყა და გატეხა ის. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფიცის გამტეხი დაისჯება, რომ არაფერი ვთქვათ იმ შედეგზე, რომელიც მის უგუნურებას მოჰყვება. ფატმანი ამბობს:

„გატეხა ფიცი სიმტკიცე სჯულისა“,

შემდეგ უსენს კვლავ კიცხავს:

„უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩს უსჯულოთა სჯულითა“,

ეს არის ის ორად-ორი ეპიზოდი, რომელშიც მიცემული ფიცი დაირღვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნესტანი ტარიელს ფიცის გატეხაში ადანაშაულებს, მაგრამ ტარიელი თავის სიმართლეს ადვილად ამტკიცებს და ყურანზეც იფიცებს, მისი ფიცი კი სანდო და ეჭვგარეშეა.

არაბეთის სპასპეტი, სიტყვის კაცი, უამრავ შინაგან ტკივილს და გარეგან წინააღმდეგობას გადაიტანს, რათა მოყვრისადმი მიცემული ფიცი შეასრულოს და ჩავიდეს ტარიელთან. მას მოუწია გამზრდელი მეფის, სატრფოს, ჯარის, არაბეთის, ქვეშევრდომების, მშვიდი ცხოვრებისა და ფუფუნების დატოვება. ხოლო გამოქვაბულში მისულ ავთანდილს ტარიელი იქ, უბრალოდ, არ დახვდა. არაბეთის სპასპეტი გაოგნებულია არა მეგობრის უმადურობით, არამედ: „იგი ვით გატეხა, არ ვეცრუე, ვით მეცრუა“ – ამბობს გაოგნებული ავთანდილი. ამ ფრაგმენტიდან ჩანს, რამდენად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ფიცი მთლიანად პოემაში. მაგრამ, როგორც ვიცით, ტარიელმა კვლავ დაამტკიცა თავისი სიმართლე.

ყველა სხვა შემთხვევაში მიცემული სიტყვა, ანუ ფიცი ეჭვგარეშე იყო. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მიერ მიცემული ფიცი განიხილებოდა, როგორც ერთგვარი აქსიომა, მის სისწორეში ეჭვი არავის შეჰქონდა. მათი ფიცი სანდო იყო. მაგრამ, რატომ არ ცრუობენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები? მათ ხომ შეუძლიათ დაიფიცონ, მოიტყუონ და, შესაბამისად, სიტუაცია საკუთარ სასარგებლოდ გამოიყენონ? მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ალეგორიულად ვსაუბრობთ საქართველოს იმ ეპოქაზე, როდესაც ზნეობა, მორალი და სამართალი ოქროზე მეტად ფასობდა. ჩვენ, ასევე ვიცით, რომ ტყუილი და ფიცის გატეხა ცოდვაა. ავთანდილი თავის ანდერძში პლატონის სიტყვებს იშველიებს:

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“.

პლატონი ამით გვეუბნება, რომ სიცრუე და, შესაბამისად, ფიცის გატეხაც ჯერ ხორცს ავნებს და შემდეგ სულს – „ავნებს ხორცსა მერმე სულსა“. ჩვენ შეგვიძლია ასეც გავიგოთ: ფიცის გატეხა გამოიწვევს ამქვეყნიურ, ანუ ხორცის და იმქვეყნიურ ანუ სულის ტანჯვას. როგორც ავთანდილი აღნიშნავს, სიცრუე „ყოვლისა უბედობის“ თავია. ანუ ავთანდილს სიცრუე ულირსობად, მორალურ ნაკლოვანებად მიაჩნია. შემდეგ ანდერძშივე ვკითხულობთ:

„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!“ – ავთანდილი ამბობს, რომ ის გმობს და არ მოსწონს სირცხვილიანი, ღალატის ჩამდენი, სირცხვილნაჭამი და მატყუარა ადამიანები. ხოლო ის, ვისაც ეს ყოველივე არ მოსწონს, ტყუილს და ფიცის გატეხასაც არ იკადრებს! ამით ავთანდილი (რუსთაველი) გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა აზროვნებას, იდეალებს, ქცევის მიზეზებს და ნათლად გვიხსნის, რატომ არ კადრულობენ ეს გმირები ტყუილს, ფიცის გატეხას და სიცრუეს.

XII საუკუნემ, ანუ ეპოქამ, რომელზეც პოემაშია საუბარი, შექმნა არა მარტო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ზეობის ხანა, არამედ უმაღლეს დონეზე აიყვანა ყველა ის მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები, რომლებიც კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, ყველა ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ადამიანი მაღალი ზნეობის მატარებული პიროვნებაა, რომლის აზრი, სიტყვა და საქმე ერთია, ანუ კაცი რასაც ფიქრობს, იმას ამბობს და რასაც ამბობს, იმას აკეთებს. ანდერძში ავთანდილი ამბობს:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს
ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს
შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

ადამიანის, პიროვნების აზრის, სიტყვისა და საქმის ერთობის გამოხატულებაა ფიცი და მასთან დამოკიდებულება.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვხედავთ, რომ ფიცი იგივეა, რაც შესრულებული საქმე და სიმართლე. პერსონაჟები საკუთარ სიმართლეს, ნდობას, ერთგულებასა თუ სიყვარულს საკუთარი ფიცით ადასტურებენ. მათი სიტყვა კი ყოველთვის სანდოა. სამწუხაროდ, დღეს ფიცმა სახე იცვალა და საკუთარი სანდოობაც და ფასიც დაკარგა. ყოველი მეორე ფიცი ლაპარაკზე ფუჭად დახარჯული ენერგიაა, რადგან ის არ არის სანდო და ჭეშმარიტების დამამტკიცებელი. დღევანდელ საქართველოში ფიცი, გარკვეულწილად, ჩაანაცვლა „შეგინება-დაგინებამ“, რომელიც ისეთივე უსარგებლოა, როგორიც უსენის ფიცი.

თუ „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთზე და საღმრთო წიგნზე დაფიცება ყველაზე გავრცელებული და სანდოა, დღეს ვამბობთ, რომ ღმერთზე დაფიცება არ შეიძლება და ეს ცოდვაა. ჩემი აზრით, ეს ფიცის გაუფასურებას და მნიშვნელობის დაკარგვას უკავშირდება. ფიცი აღარ არის სიმართლისა და ჭეშმარიტების დასტური. ადამიანმა თავად გააუფასურა და აღარ შეასრულა ღმერთზე დანაფიცები და სწორედ ამიტომ გახდა ყოველ მეორე საკითხზე ღმერთის დაფიცება ცოდვა. რადგან თუ დღევანდელი გაგებით ვიხელმძღვანელებთ, ანუ ღმერთზე ფიცს ცოდვად ჩავთვლით, მაშინ „ვეფხისტყაოსანი“ „ცოდვის კონა“ გამოდის და არა ერის უდიდესი მონაპოვარი!

მაშინ კი, XII საუკუნეში, კაციც კაცობდა, ფიციც ფიცობდა და ქვეყანაც დიდებული იყო. ჩვენ, ქართველები, ერთხელ ვიყავით ასეთები, ერთხელ, ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში.

## ინფორმაცია

27 მაისს, თბილისის სკოლა-ლიცეუმ „NK“-ში (ეროვნული განათლება) III$^{ა}$ კლასმა ჩაატარა ღონისძიება თემაზე: *„მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემი სამშობლოს ტკივილს“.*

დღეს მართლაც აქტუალურია ეს თემა, ამიტომ როგორც კლასის ხელმძღვანელმა, **ნათია ლაფაურმა** აღნიშნა, ბავშვები დიდი გულისყურით, მონდომებითა და პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ ღონისძიებისთვის. მათ გააცნობიერეს და გაითავისეს დღევანდელი საქართველოს სიხარული თუ ტკივილი. გულისამაჩუყებელი და ცრემლის მომდენი იყო მათი ბაგეებიდან წარმოთქმული ცნობილი ქართველი პოეტების: ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, იოსებ ნონეშვილისა და სხვათა მიერ პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსები, ამონარიდები. ღონისძიებას მეტ ელფერს მატებდა ქართული სიმღერები და ცეკვები (პედაგოგები: **ნინო დაუშვილი** და **ნინო ჭოლოკავა**).



ღონისძიების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს და დამსწრე საზოგადოებას (მშობლებს, პედაგოგებსა და სკოლის აღსაზრდელებს) მადლობა გადაუხადა დირექტორმა, ბატონმა **ნუგზარ ყენიამ** გაწეული შრომისთვის, ყურადღებისთვის, იმისათვის, რომ სამშობლოს უზრდიან ერთგულ შვილებს და იმედი გამოთქვა, რომ ისინი არ შეწყვეტენ მამა-პაპისეულ გზაზე სვლას და მომავალში თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის გამთლიანების, გაძლიერების და განვითარების საქმეში.

მოდით, გზა დავულოცოთ ჩვენს პატარებს და ღმერთმა ქნას, რომ მათ გულებში ყოველთვის იყოს მთავარი – „მე მაფიქრებს საქართველოს ბედი“, ხოლო სამშობლოს ტკივილით განცდილი სევდა, სულ მოკლე ხანში, დიდი სიხარულით შეცვლილიყოს.

# სტუმრობა პრეზიდენტთან

14 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიწვევით, 59-ე საჯარო სკოლის 25 მოსწავლე პრეზიდენტის სასახლეს ვესტუმრეთ.

შეუძლებელია, სიტყვებით გადმოგცეთ ის სიხარული, რაც თითოეულმა ჩვენგანმა განვიცადეთ. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტი, რომელსაც ჩვენი სათაყვანებელი პოეტისა და ერის მამის, ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ამშვენებს. ძალიან მოგვეწონა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებთან შეხვედრების დარბაზი.

პრეზიდენტი ძალიან გულთბილად შეგვხვდა. თითოეული ჩვენგანის მიმართ იჩენდა ყურადღებას.

იმავე დღეს დავათვალიერეთ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი, რომელმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იქ წარმოდგენილმა ექსპონატებმა კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრა ჩვენი ქვეყნის ბედზე და გაგვახსენა დიდი ილიას სიტყვები: *„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ იმათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“.*

ამ მშვენიერმა დღემ და პრეზიდენტის დარიგებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი კარგი სწავლისა და გარჯის გარეშე ქვეყნის წარმატებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. ამიტომ გადავწყვიტეთ, მეტი გულმოდგინებით მოვეკიდოთ სწავლას, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ



ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

როდესაც ჩვენს სკოლელებსა და კლასელებს გავუზიარეთ შთაბეჭდილებები და სამახსოვრო სურათები დავათვალიერებინეთ, მათაც გაუჩნდათ პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი. ძალიან გაგვეხარდება, თუ პრეზიდენტი ჩვენს სკოლას ეწვევა. სკოლაში ბევრ საინტერესო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. სულ ახლახან, ჩვენი თანატოლები სტუმრად იმყოფებოდნენ თურქეთში, ტრაპიზონელ მოსწავლეებთან. ასევე დიდი მეგობრობა გვაკავშირებს ქ. რიზეს ერთ-ერთი სკოლის აღსაზრდელებთანაც, რომლებსაც გასულ წელს ვეწვიეთ. იმედია, სულ მალე ჩვენი თურქი მეგობრები საქართველოშიც ჩამოვლენ. მეგობრობას ვაგრძელებთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების სკოლებთანაც.

სკოლის იერსახის გაუმჯობესებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მხრივ, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა – გარემონტდა და კეთილმოეწყო საკლასო ოთახები, სკოლის ეზოში მოეწყო სპორტული მოედანი, თანამედროვე კომპიუტერებით აღიჭურვა ინფორმატიკის კაბინეტი. ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ახალი საცურაო აუზი გაიხსნა. კარგი იქნება, თუ ასეთი რამ ჩვენთანაც გაკეთდება. მართალია, ჩვენს სკოლაში გახსნის დღიდან არსებობს საცურაო აუზი, მაგრამ ათეული წლებია, გაუმართაობის გამო, არ ფუნქციონირებს.

იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტი გვესტუმრება და უფრო ახლოს გაეცნობა ჩვენი სკოლის ცხოვრებას. რაც შეგვეხება ჩვენ, პირობას ვდებთ, რომ ვეცდებით, ჩვენი სახით მომავალ საქართველოს ღირსეული და ქვეყნის ბედით დაინტერესებული მოქალაქეები შეემატოს.

***59-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები***

# მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები მიემგზავრებიან თურქეთში, ამ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ დაარსებულ მოსწავლე ახალგაზრდობის დღესასწაულზე.

წელს, კონკურსის წესით შერჩეული 7 მოსწავლე გაემგზავრა: **მაკა მელქაძე** (VIII$^1$ კლასი), **ცისანა ნემსიწვერიძე** (VII$^1$ კლასი), **მარიამ ნემსიწვერიძე** (VII$^1$ კლასი), **ირაკლი სარალიძე** (VII$^1$ კლასი), **მარიამ ჯაფარიძე** (VII$^1$ კლასი), **ქეთევან არაბული** (VII$^2$ კლასი) და **ვახტანგ ნაჭყეპია** (VII$^2$ კლასი).

საკონკურსო ტესტირება ინგლისურ ენაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში ჩატარდა.

თურქეთის მხარემ მასპინძლად ქალაქ ტრაპიზონის სკოლა შეარჩია და მანვე დააფინანსა ვიზიტი. ჩვენი სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ტრაპიზონში თბილისის 122-ე და 190-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებიც გაემგზავრნენ. იქ ჩასულებს, მასპინძელი სკოლის დირექტორი და მისი მოადგილეები დაგვხვდნენ. ბავშვები სასტუმროში დაბინავდნენ.

მეორე დღეს მოეწყო ექსკურსია იუზუნგულის ტბაზე, ასევე, დაათვალიერეს დიდი სავაჭრო ცენტრი. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სუმელას მონასტერში ექსკურსიამ.

**თამარ ტოგონიძე,** 59-ე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, ჯგუფის ხელმძღვანელი: *სუმელა სამონასტრო კომპლექსია, ზღვის დონიდან 1200 მეტრზე („სუმელა“ ნიშნავს შავს). 386 წელს, ათენელ მღვდლებს, ბარნაბას და სოფრონს აქ წმინდა გიორგის ეკლესია აუშენებიათ. XIII საუკუნეში ალექსი კომნენოსის მიერ დაარსებულა მონასტერი (მაშინ, როცა ამ ტერიტორიაზე საქართველოს მეფემ – თამარმა ტრაპიზონის იმპერია დააარსა). 1923 წლამდე აქ ბერები ცხოვრობდნენ. სამონასტრო კომპლექსში წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები და ბერების საცხოვრებელი სენაკები შედის. კომპლექსი კლდეშია მოთავსებული და რამდენიმე ათეულ მეტრზეა გადაჭიმული. ტაძარი მართლმადიდებლური ფრესკებითაა დამშვენებული. დღეს სამონასტრო კომპლექსი მუზეუმადაა გადაკეთებული და ადგილობრივი ხელისუფლება სათანადოდ უვლის.*

*მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს თურქეთის პირველი პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის მუზეუმი – „ათათურქის კოშკი“. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელობამ აგვიხსნა, მუსტაფა ქემალ ათათურქს ძალიან მოსწონებია ეს ადგილი, ხშირად სტუმრობდა და გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა კიდეც.*

*იმ დღეს აია სოფიას ტაძარიც მოვინახულეთ. ეს ტაძარიც მართლმადიდებლურია, კარგადაა შემორჩენილი ფრესკები. პირველი მსოფლიო ომის დროს აქ იაპონიის სამხედრო ბაზა ყოფილა, რასაც ტაძრის ეზოში მდგარი ბომბდამშენიც მოწმობს, იქვეა სამრეკლოც, დღეს ისიც მუზეუმია.*

*ექსკურსიებით დატვირთული დღე სრულდებოდა, როდესაც მოსწავლეებს უთხრეს, დღეს ოჯახებში უნდა დაგარიგოთო. ბავშვებს მღელვარება დაეტყოთ. თითოეული მათგანი ფიქრობდა, ნეტავ ვინ იქნება ჩემი მომავალი მასპინძელი მეგობარი? თურქმა მშობლებმა თბილად მიიღეს ქართველი ბავშვები და ორი დღის მანძილზე მზრუნველობას არ აკლებდნენ.*

*არაჩვეულებრივი სანახაობა იყო ქალაქ ტრაპიზონის სტადიონზე გამართული აღლუმი. ჩვენი მოსწავლეები, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი, საქართველოს სახელმწიფო დროშებით შემოიყვანეს „ახალმა მშობლებმა“. ღონისძიების ორგანიზატორებმა გამოაცხადეს: „ჩვენთან სტუმრად ქართველი მოსწავლეები არიან“, მათ ოვაციით შეხვდა სტადიონი. ტრაპიზონის ბავშვთა ეროვნულმა ანსამბლებმა ლამაზი კომპოზიცია წარმოადგინეს. აღლუმის დასასრულს, ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და მერმა წარმატებული მოსწავლეები დააჯილდოვეს, მათ შორის უმეტესობა ჩვენი მასპინძელი სკოლის მოსწავლეები იყვნენ.*

*აღლუმი დღის პირველ საათზე დასრულდა და ჩვენი მოსწავლეები ისევ მასპინძელმა ოჯახებმა წაიყვანეს ქალაქის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდნენ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები. მათ, ქალაქის ქუჩებში მიმავალთ, აჩერებდნენ და ფოტოების გადაღებას სთხოვდნენ.*

*სამშობლოში დაბრუნების დღეს სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ქართველ მეგობრებთან გამოსამშვიდობებლად სკოლის ეზოში შეიკრიბნენ. დირექციამ ბავშვებს სამახსოვრო საჩუქრები დაურიგა.*

*მცირე დროის მიუხედავად, ქართველი და თურქი ბავშვები ისე დამეგობრდნენ, რომ განშორება უჭირდათ. ერთმანეთს ჰპირდებოდნენ, რომ კიდევ შეხვდებოდნენ.*

*სამშობლოში დაბრუნებულები ემოციებს ვერ მალავდნენ და დღესაც თურქეთში გატარებულ დღეებზე და დამეგობრებულ თანატოლებზე საუბრობენ“.*

**მაკა მელქაძე,** VIII$^1$ კლასის მოსწავლე: *„კარგი ოჯახი შემხვდა, ჩემი მასპინძელი 12 წლის გოგონა იყო, სახელად ესრა. მას ორი უფროსი ძმა და მშობლები ჰყავს. ერთი ძმა თბილისში სწავლობს და ქართული კარგად იცოდა. მას ინგლისურად და ქართულად ვესაუბრებოდი. დამათვალიერებინეს ქალაქი, გავეცანი მათ ეროვნულ სამზარეულოს. აღლუმზე ქართული ეროვნული (აჭარული) ტანსაცმელი მეცვა, რამაც დიდი მოწონება გამოიწვია. ესრას მშობლებმა ძალიან თბილად მიმიღეს და დამასაჩუქრეს, სკოლის დირექციამაც საჩუქრები დაგვირიგა. ესრამ მთხოვა კიდევ ჩავიდე მასთან, მეც ჩემი ახალი მეგობარი მოვიწვიე თბილისში. ურთიერთობას აუცილებლად გავაგრძელებთ და ერთმანეთს არ დავკარგავთ“.*

**მარიამ ნემსიწვერიძე,** VII$^1$ კლასის მოსწავლე: *„თურქეთში ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, დავათვალიერე: აია სოფიას ტაძარი, სუმელას მონასტერი, იუზუნგულის ტბა, ათათურქის მუზეუმი. მასპინძელი ოჯახი ძალიან თბილად შემხვდა, უდიდესი სითბო გამოხატეს ჩემ მიმართ, „ლუნა პარკში“ წამიყვანეს, სადაც ბევრი ატრაქციონი იყო, შემდეგ სავაჭრო ცენტრში ჩემი მშობლების და ოჯახის ყველა წევრისთვის მიყიდეს საჩუქრები. დამშვიდობებისას მათ თვალებზე ცრემლი შევნიშნე, მეც მიჭირდა მათთან განშორება. საქართველოში კმაყოფილი და ბედნიერი დავბრუნდი“.*

**ცისანა ნემსიწვერიძე,** VII$^1$ კლასის მოსწავლე: *„როდესაც ჩვენს სკოლაში კონკურსი გამოცხადდა, ძალიან გამეხარდა, რადგან საშუალება მომეცა, ჩვენი მეზობელი ქვეყნის – თურქეთის კულტურასა და ისტორიას გავცნობოდი. მე პროფესორ ისმაილ ალთასის ოჯახში მოვხვდი. მას მეუღლე და 3 გოგონა ჰყავს: უფროსს ჰქვია ჰილალ, საშუალოს, ჩემს თანატოლს – ელიფ, უმცროსს კი – ჯანდანსუნა. მათ კარგად მიმიღეს, ამიყვანეს მთაზე, საიდანაც მთელი ტრაპიზონი მოჩანდა, წამოსვლისას ჩემი ოჯახის წევრებთან საჩუქრები გამომატანეს. ჩვენ ახლაც ვაგრძელებთ ურთიერთობას და ერთმანეთს არასოდეს დავკარგავთ“.*

**მარიამ ჯაფარიძე,** VII$^1$ კლასის მოსწავლე: *„ძალიან მომეწონა ტრაპიზონი, სუფთა და მოწესრიგებული ქალაქია. კარგად გვიმასპინძლეს. ძალიან მომეწონა ოჯახი, სადაც მოვხვდი. დიდი ოჯახი იყო: დედა, მამა და სამი გოგონა. ვსეირნობდით, ვათვალიერებდით ქალაქს, ვიყავით პარკში, სადაც ბევრი ატრაქციონი იყო. ქართველები ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით, ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს, ჩვენს მასწავლებელთან, ქალბატონ თამარ ტოგონიძესთან ერთად, ექსკურსიებზე დავდიოდით. საჩუქრებით დატვირთულები გამოგვისტუმრეს. ამ მეგობრობას მომავალშიც გავაგრძელებთ“.*

**ირაკლი სარალიძე,** VII$^1$ კლასის მოსწავლე: *„თურქეთისკენ მიმავალ გზაზე ბევრი ვიმხიარულეთ, იქ ჩასულები ჯერ სასტუმროში დაგვაბინავეს, ორი დღის შემდეგ კი ოჯახებში გაგვანაწილეს. მე და კიდევ ერთი ქართველი მოსწავლე, თურქი პროფესორის ოჯახში მოვხვდით. ჩემი მასპინძელი ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდა, ის სპორტსმენი იყო. ბოლო დღეს მიგვიყვანეს სკოლაში, ბევრი სურათი გადავიღეთ, დაგვასაჩუქრეს, დავემშვიდობეთ ერთმანეთს და დავბრუნდით საქართველოში“.*

**ვახტანგ ნაჭყეპია,** VII$^2$ კლასის მოსწავლე: *„მე ბიზნესმენის ოჯახში მოვხვდი, ძალიან თბილი მასპინძლობა გამიწიეს. კარგი დრო გავატარე, სულ იმ დღეებზე ვფიქრობ. ჩემი პატარა დაიკოსთვის გამომატანეს საჩუქრები. დიდი სურვილი მაქვს, ჩემი თურქი მეგობარი ხათუსაი საქართველოში ჩემთან მოვიწვიო და ჩემებურად, ქართულად ვცე პატივი“.*

**ქეთი არაბული,** VII$^2$ კლასის მოსწავლე: *„ძალიან მიხარია ამ პროექტში რომ მოვხვდი და თურქეთში წასვლის საშუალება მომეცა. ეს ულამაზესი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში. როცა გვითხრეს, ოჯახებში უნდა გაგანაწილოთო, ყველას გული დაგვწყდა, არ გვინდოდა უცხო ხალხში ყოფნა, მაგრამ ისეთი ოჯახი შემხვდა, რომ მათთან განშორება ძალიან გამიჭირდა. მასპინძელ ოჯახს ჩემი ტელეფონის ნომერი და სახლის მისამართი დავუტოვე, აუცილებლად დავუკავშირდები და გავაგრძელებ მათთან მეგობრობას. უკვე მენატრებიან“.*

# „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...“

თბილისის 59-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თეიმურაზ კავსაძე**) არაერთი ტრადიციაა დამკვიდრებული, ბევრსაც ახლა ეყრება საფუძველი.

ქალბატონი **მარინა სარიშვილი** (VII$^1$ კლასის დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) ერთი იმ პედაგოგთაგანია, რომელიც თავისი საქმით ქმნის სკოლის ისტორიას და ამკვიდრებს ამ ტრადიციებს. მუდამ სიახლეების ძიებაშია, უყვარს თავისი საქმე და ღირსეულად უძღვება პედაგოგის არცთუ ისე მსუბუქ ტვირთს.

სწორედ მარინა მასწავლებლის ინიციატივით მოეწყო ჩვენი სკოლის მეშვიდეკლასელთათვის ექსკურსია სხვიტორში, რომელიც დიდი აკაკის საიუბილეო წელს მიეძღვნა. ექსკურსიის მიზანი ისიც იყო, რომ ჩვენსა და სხვიტორელ მეშვიდეკლასელთა მეგობრობას ჩაჰყროდა საფუძველი.

ქართველ კაცს სტუმართმასპინძლობით ვერ გააკვირვებ, მაგრამ რაც იმ დღეს სხვიტორში ვნახეთ და განვიცადეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სხვიტორელი ბავშვები და მათი კლასის ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი **დალი ზამბახიძე** მოუთმენლად გველოდნენ აკაკის საუფლოში. იქაურობას უჩვეულო ფერი და იერი დასდებოდა. ბავშვებს ეროვნული ტანისამოსი ეცვათ და ეს კიდევ ამაღლებდა ჩვენს განწყობას...

ჯერ აკაკის სახლ-მუზეუმი დავათვალიერეთ, მერე გეზი მხარეთმცოდნეობის მუზეუმისკენ ავიღეთ, მასპინძლებმა სკოლაშიც მიგვიპატიჟეს, სიამაყით დაგვათვალიერებინეს იქაურობა, თვალებგაბრწყინებულები შეგვიძღვნენ ულამაზეს დარბაზში, სადაც კიდევ ბევრი ადამიანი გველოდა და არაჩვეულებრივი კომპოზიციაც წარმოგვიდგინეს. მალე, ჯერ კიდევ შთაბეჭდილებით სავსენი, სავანისკენ მივქროდით, სადაც კიდევ ერთხელ უნდა შეგვეგრძნო და განგვეცადა ის მადლი და სიყვარული, რომლითაც აკაკის ზრდიდნენ და სულს უვსებდნენ...

მასპინძელთა თვალებში სიხარულს, სიამაყეს, პატივისცემას ვგრძნობდით და ეს უჩვეულოდ გვავსებდა დიდსაც და პატარას. დღე შეუმჩნევლად მიიწურა, მაგრამ თბილისელ ბავშვებს ერთი სიურპრიზი კიდევ ელოდა: მასპინძლებმა გონს მოსვლა არც კი გვაცალეს, ისე აღმოვჩნდით ულამაზეს ქართულ ტრადიციულ, გულუხვად გაწყობილ სუფრასთან, ესეც ხომ ჩვენებური წესია, სუფრასთან უნდა განმტკიცებულიყო სულ ცოტა ხნის წინ დაწყებული მეგობრობა, რომ შემდეგ კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო.

ცეკვას, სიმღერებს, ლექსებს ბოლო არ უჩანდა, ნამდვილი დღესასწაული იყო. ბავშვებს ძალიან გაუჭირდათ ერთმანეთთან განშორება, ჩვენმა მოსწავლეებმა თანატოლები თბილისში მოიპატიჟეს. გვჯერა, რომ ეს მეგობრობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ჩვენი სკოლის სახელით უზომო მადლიერება მინდა გამოვხატო სხვიტორის საჯარო სკოლის დირექტორის, პედკოლექტივის, მშობლების, განსაკუთრებით ჩვენი უშუალო მასპინძლის, ქალბატონ დალი ზამბახიძის მიმართ. ასევე, მადლობა მარინა მასწავლებელს ამ დაუვიწყარი დღისთვის.

წერილს კი, ამ სიტყვებით დავამთავრებ: ქვეყანას, სადაც ასეთი სიყვარული შეუძლიათ, გადაშენება არ უწერია!

***ნანა ძიგოშვილი***

*59-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი*

C M Y K

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

# ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი



რუბრიკას უძღვება
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი
ქეთევან თავართქილაძე

*დასაწყისი იხ. №17, 18*

***განსაკუთრებული ყურადღება*** უნდა მიექცეს შემდეგ სიმპტომებს, რომლებიც ბავშვის განვითარების სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებენ:

ორიდან სამ წლამდე პერიოდში:

- მუდმივი შიშები;
- მეტყველების დაწყების წარუმატებელი მცდელობები;
- 10 წუთის განმავლობაში რაიმე ერთ თამაშზე კონცენტრაციის შეუძლებლობა;
- ზედმეტი აქტივობა;
- მუდმივი და მომატებული აგრესიულობა.

სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში:

- რამდენიმე თანმიმდევრული მითითების შესრულების შეუძლებლობა;
- სხვათა ინტერესების გაგების შეუძლებლობა;
- რისხვის, სიშმაგის შეტევები;
- ნეგატივიზმი, ჭირვეულობა, ბრაზიანი სიჯიუტე;
- პასიურობა, უმწეობის განცდა.

ხუთიდან ექვს წლამდე პერიოდში:

- გულჩვილობა, ხშირი ტირილი;
- სხვა ბავშვებისაგან მუდმივად განმარტოება;
- შექებისადმი გულგრილი დამოკიდებულება;
- თვითდასჯისა და თვითდაზიანების შემთხვევები;
- წარუმატებლობის შემთხვევაში დავალების შესრულებისაგან პასიური გარიდება ან აგრესიული რეაქცია, დამანგრეველი ქცევა.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვი ყველა ტესტს სწორად ასრულებს, მაგრამ ჩამოთვლილთაგან თუნდაც ერთი სიმპტომი აღენიშნება, აუცილებლად უნდა მიმართოთ ფსიქოლოგს.

## შუა ბავშვობა – 6-დან 11-12 წლამდე

***ფიზიკური და მოტორული განვითარება***

- დაახლოებით 6-8 წლის ასაკში თავის ტვინის წინა ნაწილი ზრდის პერიოდული „ნახტომებით“ ხასიათდება;
- გოგონებისა და ბიჭების მოტორულ განვითარებაში პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს;
- ფიზიკური მოტორული უნარების სრულყოფა კომპეტენტურობის ფსიქოლოგიური განცდის გაჩენას უწყობს ხელს;
- ჩვეულებრივ, შუა ბავშვობა ძალიან ჯანმრთელი პერიოდია; ის დაავადებები, რომლებიც ბავშვს ამ პერიოდში ემართება, სტრესთან გამკლავების უნარის გამომუშავებაში ეხმარება;
- შუა ბავშვობის პერიოდში ბევრგან საერთო პრობლემაა ჭარბი წონა; მიზეზები შეიძლება მემკვიდრეობასთან ან გარემოს ზეგავლენასთან იყოს დაკავშირებული; სპეციალისტები მკაცრი დიეტების დაცვას არ გვირჩევენ;
- მთელ მსოფლიოში ნაკლებმოძრავი საქმიანობების რაოდენობა ზოგადად გაიზარდა, ხოლო ფიზიკური ფორმა გაუარესდა;

აუცილებელია ფიზიკური მომზადების გაძლიერება, რადგან შუა ბავშვობაში შეძენილი უნარები მოზრდილობაში შეიძლება განმტკიცდეს და შენარჩუნდეს.

***კოგნიტური განვითარება***

- შუა ბავშვობა კონკრეტულ ოპერაციებზე გადასვლით ხასიათდება (თვალსაჩინო-მოქმედებითი აზროვნება);
- იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც პრეოპერაციული აზროვნების სტადიაზე იმყოფებიან, თვალსაჩინო-მოქმედებითი აზროვნების მქონე ბავშვი ნაკლები ინტუიციითა და ეგოცენტრულობით, ასევე, მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგების უკეთესი უნარით გამოირჩევა;
- ბავშვებს კონკრეტული სიტუაციების გამოსავლისა და შედეგების განჭვრეტა შეუძლიათ;
- ბავშვობის პერიოდში მნიშვნელოვნად უმჯობესდება მეხსიერება, მათ შორის გამეორება, ორგანიზაცია, გადამუშავება, აღდგენა;
- გრამატიკულად სწორად მეტყველებისა და წერის უნარი ყალიბდება, რაც თავისი არსით სოციოკულტურულ კონტექსტთან არის დაკავშირებული.

***დასწავლა და აზროვნება სასკოლო სწავლებისას***

სკოლასთან ბავშვის შეგუება შესაძლოა სხვადასხვა მიზეზის გამო გართულდეს, რომლებიც ძირითადად ახალ მოთხოვნებთან და მოლოდინებთან არის დაკავშირებული;

- თანამედროვე პედაგოგები სწავლებისას კონკრეტული ბავშვის თავისებურებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინების აუცილებლობას უსვამენ ხაზს;
- სკოლაში წარმატება ხშირად მიღწევის მოტივაციასთანაა დაკავშირებული;
- სკოლაში ბავშვის წარმატებაზე მშობლის ფაქტორიც ახდენს გავლენას, კერძოდ, რეალისტური შეფასებები მაღალ მოლოდინებთან ერთად, დისციპლინის დაცვის ავტორიტეტული ხერხების გამოყენება, აგრეთვე, ბავშვთან საუბრები და მასზე დაკვირვება, საშინაო დავალებების შესრულების მოთხოვნა.

***განვითარების დარღვევები***

- გონებრივი ჩამორჩენილობის მიზეზები მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით გამოირჩევა;
- დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (DSM-IV) ჩამოთვლილია გონებრივი ჩამორჩენილობის 3 კრიტერიუმი: 1) IQ-ტესტებით გამოვლენილი მაჩვენებლები საშუალო მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება; 2) ადაპტირებული ქცევა ისეთ სფეროებში, როგორიცაა თვითმომსახურება, ზოგადი ფუნქციონირება სახლში და საზოგადოებაში ხშირად დარღვეულია; 3) აღნიშნული გამოვლინებები თავს იჩენს 18 წლამდე ასაკში;
- არსებობს გონებრივი ჩამორჩენილობის 4 დონე: *მსუბუქი* (IQ დაახლოებით 55-70 ქულა), *ზომიერი* (IQ დაახლოებით 40-55 ქულა), *სერიოზული* (IQ დაახლოებით 25-40 ქულა), *ღრმა* (IQ – 25 ქულაზე ნაკლები);
- „გონებრივი ჩამორჩენილობის“ დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია, რომ ბავშვი სამივე კრიტერიუმს შეესაბამებოდეს;
- ნაკლები სიმძიმის გონებრივი ჩამორჩენილობის პირები შეიძლება საზოგადოების პროდუქტიული წევრები გახდნენ; იმათაც კი, ვისაც სერიოზული და ღრმა დარღვევები აქვთ, შეუძლიათ ისწავლონ და სპეციალური მომზადება გაიარონ;
- სწავლის უნარის დარღვევები შეიძლება ნორმალური და ზოგჯერ საშუალოზე მაღალი ინტელექტის ბავშვებს ჰქონდეთ; პრობლემები სწავლების კონკრეტულ სპეციფიკურ სფეროსთანაა დაკავშირებული;
- კითხვის უნარის დარღვევა (დისლექსია), წერის დარღვევა (დისგრაფია) და მათემატიკური უნარების დარღვევა (დისკალკულია) DSM-IV-ის თანახმად, დასწავლის დარღვევების მთავარი კრიტერიუმებია;
- ჰიპერაქტიურობის/ყურადღების დეფიციტის სინდრომი კოგნიტურ-ქცევითი დარღვევაა; ხშირად მედიკამენტოზურ მკურნალობას ან ქცევითი თერაპიის მეშვეობით კორექციას ექვემდებარება;
- ჰიპერაქტიურობის 3 ძირითადი სიმპტომია:1) ყურადღების დარღვევა; 2) მაღალი აქტივობა; 3) იმპულსურობა.

***ფსიქოსოციალური განვითარება***

შუა ბავშვობის განმავლობაში ბავშვის სოციალური სამყარო მნიშვნელოვნად ფართოვდება.

***პიროვნების განვითარება***

- მე-კონცეფცია უფრო რეალისტური, რთული და ორგანიზებული ხდება; ბავშვის მე-კონცეფციის დიდი ნაწილი საკუთარი თავის სხვებთან შედარებიდან მომდინარეობს;
- ბავშვები სხვადასხვა ხერხით შეიმუშავებენ და პოზიტიურ თვითშეფასებას ინარჩუნებენ; ბევრი მათგანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში წარმატებას;
- ჭეშმარიტი მიღწევებისათვის ადეკვატური შექება ბავშვის თვითშეფასებას აუმჯობესებს.

***ოჯახის გავლენა***

- მშობლის მეთვალყურეობა კვლავ მნიშვნელოვანია;
- მშობლის ოპტიმალური ქცევის მნიშვნელოვანი ნაწილია ბავშვის დახმარება თვითრეგულაციური ქცევის გამომუშავებასა და თვითრეგულაციის სწავლებაში, რასაც ხელს უწყობს მშობლის ქცევის ავტორიტეტული სტილი;
- არასრულ ოჯახში ბავშვის აღზრდა უამრავ სტრესთანაა დაკავშირებული; ბევრი ასეთი ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს და სამომავლოდ ბავშვებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ;
- განქორწინებისას ხშირად იჩაგრებიან ბავშვები; ისინი უარს ამბობენ მიიღონ მშობლების ურთიერთობის საბოლოო განწყვეტის ფაქტი და ქცევის ნეგატიური ფორმების დემონსტრირებას ახდენენ;
- არსებობს 3 ფაქტორი, რომლებიც მშობელთა განქორწინებაზე ბავშვის რეაქციას განსაზღვრავს: განქორწინების თანმხლები მტრობის დონე, ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტუალურ ცვლილებათა რაოდენობა და ბავშვი-მშობლის დამოკიდებულების ბუნება;
- მეორე ქორწინებისას ბავშვმა დედინაცვლის ან მამინაცვლის გაჩენაზე შეიძლება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური რეაგირება მოახდინოს.

***თანატოლებთან ურთიერთობა და სოციალური კომპეტენტურობა***

- ბავშვების მეგობრულ ურთიერთობებს უამრავი პოზიტიური ეფექტი აქვთ; მეგობრული ურთიერთობები ამ ასაკში, როგორც წესი, „საუკეთესო მეგობრის“ შეძენის ფორმას იძენს; მოგვიანებით ჩნდება ჯგუფური მეგობრული ურთიერთობები;
- თითქმის ყველა ბავშვს ცალმხრივი მეგობრული ურთიერთობები აქვს; ორმხრივობა შედარებით ნაკლებადაა გამოხატული;
- თანატოლთა ჯგუფი ჯგუფურ ნორმებს მართავს; თანატოლთა ჯგუფში ზოგი ბავშვი ლიდერია, ზოგი – დაქვემდებარებული;
- თანატოლთა ჯგუფებში არიან პოპულარული და არაპოპულარული ბავშვები; პოპულარობა და სტატუსი თანატოლთა ჯგუფში ბავშვის მრავალრიცხოვანი მახასიათებლებითა და მისი ქცევით განისაზღვრება;
- თანატოლთა ჯგუფი ბავშვზე ზეწოლას ახდენს და ჯგუფური ნორმების დაცვას აიძულებს; ჯგუფში „თავისიანებისა“ და „სხვების“ არსებობა შემდგომი დისკრიმინაციის საფუძველია.

*ყველაზე მთავარი:*

***ამ პერიოდში ბავშვის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, მშობლებთან ერთად, სკოლასაც ეკისრება. სკოლაში შესვლით მხოლოდ შემეცნებისა და აღიარების მოთხოვნილებათა ფორმირება კი არ ხდება, არამედ პიროვნულობის გრძნობის განვითარებაც.***

*განსაკუთრებული ყურადღება* უნდა მიექცეს შემდეგ სიმპტომებს, რომლებიც ბავშვის განვითარების სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებენ:

- უფრო პატარა ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელი ქცევა (მაგალითად, შარდის შეუკავებლობა სასკოლო ასაკში);
- გულჩვილობა ან ცუდი გუნებაგანწყობილება;
- ხშირი სომატური ჩივილები (თავის, მუცლის, კუნთების ტკივილი, დაღლილობა);
- სწავლასთან, მეგობრებთან, სპორტთან დაკავშირებით მუდმივი შიშები ან წუხილი;
- ადამიანებისა და ცხოველების მიმართ აგრესიული ქცევა, ნივთების გაფუჭება.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოზარდი ყველა ტესტს სწორად ასრულებს, მაგრამ ჩამოთვლილთაგან თუნდაც ერთი სიმპტომი აღენიშნება, აუცილებლად უნდა მიმართოთ ფსიქოლოგს.

## მოზარდობა და სიყმაწვილე – დაახლოებით 11-12 წლიდან 18-21 წლამდე

***მოზარდობის ასაკი დღეს***

- კულტურებში, სადაც მოზარდობის ასაკი შედარებით ხანმოკლეა, ჩვეულებრივ, გადასვლის რიტუალები არსებობს;
- საზოგადოების მოზრდილ წევრად ქცევის პროცესი განვითარების საყოველთაო ეტაპია;
- მოზარდებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისტორიული ვითარება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

***ფიზიკური განვითარება და ადაპტაცია***

- მკვეთრი ჰორმონალური ზრდა, რომელიც ენდოკრინული ჯირკვლების მიერაა ინიცირებული, მოზარდის ინტენსიურ განვითარებას, შემდგომში კი – პუბერტეტის დაწყებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს იწვევს;
- მოზარდებისათვის დამახასიათებელი გარკვეული მოუხეშაობა ზრდის ასიმეტრიულობასთანაა დაკავშირებული;
- კანქვეშა ცხიმის დაგროვება უშუალოდ ინტენსიური განვითარების წინ შეინიშნება როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში; მისი შენარჩუნების ტენდენცია მხოლოდ ქალებისთვისაა დამახასიათებელი;
- მამაკაცებში სქესობრივი მომწიფება ტესტოსტერონით სტიმულირდება; ქალებში ასეთი ჰორმონია ესტროგენი და პროგესტერონი;
- ჰიპოფიზი ზრდის ჰორმონების გამომუშავებას არეგულირებს;
- პუბერტეტის დადგომის დრო არსებითად განსხვავებულია; დღეისათვის მისი დაწყების საშუალო ასაკი მცირდება;
- პირველი მენსტრუალური ციკლი ხშირად არარეგულარულია და ფიზიკურ-ემოციური პრობლემები ახლავს;
- მოზარდები ყურადღებით ადევნებენ თვალს თავიანთ სხეულს; ბიჭები, ძირითადად, აქცენტს ძალაზე აკეთებენ, გოგონები – წონაზე;
- ნერვული ანორექსია და ბულიმია მოზარდ გოგონებში უფროა გავრცელებული, ვიდრე ბიჭებში;
- როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის მოზარდები საკუთარი სხეულით უკმაყოფილონი არიან და ხშირად შეცვლის სურვილი აქვთ;
- ადრე მომწიფებულ ბიჭებს თანატოლთა შორის ხშირად გარკვეული უპირატესობა აქვთ; გოგონებში ნაადრევ მომწიფებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

***სექსუალური განწყობები და ქცევა***

- სექსუალურმა რევოლუციამ როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის, სექსისადმი ლიბერალური დამოკიდებულება და სექსუალური ქცევის ვარიაციები მოიტანა; მისი დასრულების მიზეზთა შორის შეიძლება ორსულობის შემთხვევათა და ვენერიულ დაავადებათა რიცხვის ზრდა დავასახელოთ;
- მასტურბაციისადმი დამოკიდებულება უფრო ლიბერალური ხდება; ისტორიულად ბიჭები გოგონებზე მასტურბაციის შესახებ უფრო ხშირად ამხელენ;
- პირველი სქესობრივი კავშირის ასაკი სქესისა და სწავლაზე ორიენტირებულობის ხარისხის მიხედვით იცვლება;
- სექსუალურ აქტივობასა და თვითპატივისცემას შორის ურთიერთკავშირი სქესის მიხედვით განსხვავდება;
- მშობლებისა და შვილების ურთიერთობებმა, სხვა ოჯახურმა ფაქტორებმა შესაძლოა მოზარდთა სექსუალური აქტივობის გამოვლინებებზე მოახდინოს ზეგავლენა;
- იმათ, ვინც ადრე მწიფდება, ადრეული სექსუალური აქტივობისკენ აქვთ ტენდენცია; ზოგადად ბიჭები შედარებით ადრეულ სექსუალურ აქტივობაზე მიუთითებენ, ვიდრე გოგონები;
- სექსუალური ძალადობა მატრავმირებელია როგორც გოგონებისათვის, ისე ბიჭებისათვის;
- მშობლის ფუნქციების შესრულება, ჩვეულებრივ, უკიდურესად ძნელია მოზარდებისათვის და მათ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

***კოგნიტური ცვლილებები მოზარდობის ასაკში***

- ოპერაციული აზროვნება აბსტრაქციის უნარით, ჰიპოთეზათა თანმიმდევრული და სისტემატური შემოწმებით და წინასწარი დაგეგმვის გაზრდილი შესაძლებლობით ხასიათდება;
- კოგნიტური სფეროს გაუმჯობესება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ხედავენ მოზარდები სოციალურ სამყაროს და საკუთარ თავს; მთლიანობაში მათი შეხედულებები კულტურულ ღირებულებებსა და საზოგადოებაზე უფრო რთული და გააზრებული ხდება;
- ადრეული ბავშვობის ეგოცენტრიზმი მოზარდობის ასაკში ისევ ბრუნდება, თუმცა სხვა ფორმით.

***ოჯახის დინამიკა***

- მოზარდებსა და მათ მშობლებს შორის კონფლიქტები ჩვეულებრივ უმნიშვნელოა; თაობებს შორის კარგი კომუნიკაცია ოჯახური კონფლიქტების გადაჭრას უწყობს ხელს;
- დედები და მამები სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ მოზარდებზე, მათი ქცევის თავისებურებებიდან და მიზნებიდან გამომდინარე;
- ჩვეულებრივ, მოზარდობის პერიოდის გავლაში ბავშვს აღზრდის ავტორიტეტული სტილი ყველაზე უკეთ ეხმარება;
- ოჯახური მოვალეობები და პასუხისმგებლობა განსხვავებულია ოჯახებში, სადაც ორივე მშობელი მუშაობს და სადაც ერთი მშობელი მუშაობს; ეს დამოკიდებულია, ასევე, ბავშვის სქესზე.

***ურთიერთობები***

- მოზარდები თანატოლებთან მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ოჯახთან;
- თანატოლთა ჯგუფი აუცილებელია სოციალური უნარების განვითარებისათვის;
- სოციალური შედარება ძლიერდება; პიროვნების განვითარებაზე გავლენის მოხდენის გარდა, ეს მეგობრული ურთიერთობების ფორმირებაზეც ახდენს გავლენას;
- მოზარდების არსებითი ნაწილი „მარტოხელაა“, თანატოლთა ჯგუფს არ მიეკუთვნება; ეს შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო ხდებოდეს;
- მოზარდები ხშირად ჯგუფისა და მშობლების მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობებს განიცდიან;

***მოზარდობის ასაკის სიძნელეები***

- პოტენციურად დესტრუქციულ, ავანტიურისტულ ქცევაში მოზარდთა უმცირესობაა ჩათრეული; მათი დიდი ნაწილი დროს კონსტრუქციულად ატარებს;
- სარისკო ქცევის განხორციელების მიზეზები მრავალგვარია; ხშირად დიდ როლს ასრულებს პერსონალური მითი, ბიოლოგია/გენეტიკა, სოციალური გარემოცვა;
- შეიძლება ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარების საშიშროება გაჩნდეს;
- ალკოჰოლი მოზარდთა მიერ გამოყენებული ყველაზე პოპულარული ფსიქოაქტიური ნივთიერებაა. ამასთან მისი მოხმარება მრავალრიცხოვან პიროვნულ და სოციოკულტურულ ფაქტორებზეა დამოკიდებული;
- მოზარდთა შორის, ასევე, გავრცელებულია მარიხუანას მოხმარება; სხვა პრეპარატების გამოყენება, მათი მაღალი ფასის გამო, მინიმალურია;
- სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენით მოზარდებმა შეიძლება სერიოზული დანაშაული ჩაიდინონ.

***სტრესი, დეპრესია და მათთან გამკლავება***

- დეპრესია ხშირად დაკავშირებულია სუიციდთან ან სუიციდის მცდელობასთას, აგრეთვე სხვა დარღვევებთან, როგორიცაა ანორექსია და ბულიმია; ხშირად ძნელია დეპრესიის მიზეზისა და სხვა დარღვევებთან მისი ურთიერთგავლენის განსაზღვრა;
- ოჯახური, სოციალური და პიროვნული ფაქტორები მოზარდში დეპრესიის რისკს ზრდის; მნიშვნელოვანი პიროვნული ფაქტორებია თვითპატივისცემის დაკარგვა, აგრეთვე მოზარდის სქესი;
- კარგი ოჯახური ურთიერთობები, რაიმეში კომპეტენტურობის შეგრძნება და სხვათა მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა სტრესისა და დეპრესიის წინააღმდეგ დამცავი ფაქტორებია.

*ყველაზე მთავარი:*

***ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მშობლებმა დაამყარონ ბალანსი მოზარდის გაკონტროლებასა და მისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას შორის.***

გაგრძელება იქნება

# ძლიერი ჯარი ძლიერი ქვეყნის იმედია



მშვიდობის დამცველთა სტუმრობა გადაწყვიტეს თელავის №9 საჯარო სკოლის VII[1] კლასის მოსწავლეებმა, მშობლებმა და კლასის ხელმძღვანელმა.

თელავში განთავსებულია ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მომზადების ბაზა №5. უფროსმა სერჟანტმა **თემურ ბერიაშვილმა** სანიმუშო მეგზურობა გაგვიწია. დავათვალიერეთ ყაზარმა №5-ის სასწავლო და საძინებელი ოთახები, სასადილო. გავეცანით დღის რეჟიმს. მოსწავლეები ინტერესით ათვალიერებდნენ ჯარისკაცთა პირად ნივთებს, საძინებელს, ზურგჩანთებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს. წესრიგმა და სანიმუშო სისუფთავემ მათზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯარისკაცთა მემორიალთან წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქვეყნის მომავლისათვის თავგანწირულ ახალგაზრდებს. მოისმინეს გმირული თავდადების ამბები. ბავშვებმა ირწმუნეს, რომ ერისათვის თავგანწირულთა ხსოვნა უკვდავია და „მათ ხსოვნას ქყვეყანა სანთლებად აინთებს!“

წინ საინტერესო სანახაობა ელოდათ. მაგიდებზე გაშლილი საბრძოლო იარაღისა და სამედიცინო დახმარების დემონსტრირებამ მოლოდინს გადააჭარბა. ჯარისკაცები მონდომებით აცნობდნენ თითოული იარაღის წარმომავლობასა და დანიშნულებას. ვაჟებმა იარაღის დაშლა- აწყობაც სცადეს. გოგონები კი სამედიცინო აპარატურით დაინტერესდნენ და ბრძოლის ველზე მყოფთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების ინსცენირება სცადეს.

არა მარტო ვაჟებს, გოგონებსაც გაუჩნდათ ქართულ ჯარში მსახურების მოტივაცია. უფროსმა სერჟანტმა თემურ ბერიაშვილმა კლასს საქართველოს დროშა გადასცა და მისი სიწმინდის დაცვა და ერთგულება უსურვა. კლასის ხელმძღვანელმა **ნათელა ჯიმშიტაშვილმა** მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, ჯარისკაცებს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა, ბოროტების სიკეთით ძლევა უსურვა და სიმბოლურად წმინდა გიორგის ხატი გადასცა.

ნანახმა და განცდილმა დიდი გავლენა მოახდინა მოსწავლეებზე. მეტი სიყვარული, ერთგულება დაეუფლათ ჯარისკაცთა მიმართ და დარწმუნდნენ, „ძლიერი ჯარი ძლიერი ქვეყნის იმედია“.

„ამ შეიარაღებით ჩვენ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის დაცვას!“ – ირწმუნებოდნენ ბიჭები.

უფალმა ისმინოს ჩვენი შვილების გულწრფელი სურვილი და იარაღის გარეშე, მშვიდობიანი გზით გამთლიანებული, ძლიერი, გალაღებული ქართველი ერი მალე გვენახოს.

***ნათელა ჯიმშიტაშვილი***
*თელავის IX საჯარო სკოლის VII[1] კლასის ხელმძღვანელი*

# სასწავლო წელი საინტერესო ღონისძიებებით გააცილეს



ზღვის უბანში, ხევის პირას, ოთხსართულიანი შენობიდან გოგო-ბიჭების ჟრიამული ისმის. გაზაფხულის დღესასწაულია 149-ე საჯარო სკოლაში (სკოლის დირექტორი – **მაია გიორგაძე**). პედაგოგები და მოსწავლეები არ ღალატობენ ძველ ტრადიციებს და სხვადასხვა ღონისძიებებით აცილებენ სასწავლო წელს.

განსაკუთრებული აქტივობით VII[1] კლასი გამოირჩევა (ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნინო ტუღუში**). ქართული ფოლკლორის საღამოზე დიდი ვაჟას შემოქმედება ფშავური დიალექტით წარმოადგინეს. კლასში 24 მოსწავლეა და ყველას შეუძლია მხატვრული კითხვა, ცეკვა და სიმღერა.

მარგალიტებად იბნევა ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები: უმღერიან სამშობლოს, შაირ-კაფია გაუბამთ, არც წუთისოფლის ცვალებადობას ივიწყებენ. ლექსთან ერთად ისმის სევდიანი სიმღერა „ბინდისფერია სოფელი“, სატრფიალო ლირიკის ნიმუშები. ვაჟკაცური სული იგრძნობა მთიულურ ცეკვაში; ქართული სიდინჯით და მთიულური სიფიცხით გამოდიან სცენაზე **გიორგი გიორგაძე, ნიკოლოზ ჯობავა, ქეთევან ქარდავა, მარი ცისკაძე** და **ნათია იანვარაშვილი**.

მეორე დღეს, ამავე კლასში, არანაკლებ საინტერესო ღონისძიება გაიმართა. რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის – **მარინა ძიგოევას** ხელმძღვანელობით ჩატარდა კომპოზიტორ ვლადიმირ შაინსკის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ახლა რუსულ ენაზე მეტყველებენ, მღერიან VII[1] კლასის მხატვრული სიტყვის ოსტატები. ყველა მღერის, მასპინძელიც და სტუმარიც. სტუმარი კი ბევრია, ამ გოგო-ბიჭებს, მეზობელ 148-ე სკოლასთან დამეგობრების მიზნით, მასწავლებლები და თანატოლები მოუწვევიათ. უფროსებისთვის ეს საღამო იყო სასიამოვნო შეხვედრა წარსულთან, უმცროსებისთვის კი იმ კულტურასთან ზიარება, რომელიც უსამართლობასა და აგრესიას დაამარცხებს.

***ნინო ტუღუში***
*149-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი*

# მოგონებებში გაცოცხლებული რევაზ ლაღიძე

სიმღერა უვითარებს ბავშვს სმენას, აჩვევს ჰარმონიას, ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებას, ამიტომაც სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მუსიკის სწავლებას.

მაისის მიწურულს, თბილისის 45-ე საჯარო სკოლაში, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელმა, მუსიკის მასწავლებელმა **ლალი გოდელაშვილმა** ღონისძიება ჩაატარა – „მოგონებებში გაცოცხლებული კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე“.

პედაგოგის მუშაობის სფერო მარტო სიმღერის სწავლებით არ შემოიფარგლება, ის ბავშვებს ქართველი ხალხის დიდ კულტურას აცნობს, ქართული სიმღერის მადლს და ლაზათს აყვარებს. ცდილობს, მოსწავლეთა ცნობიერება ჩვენი მდიდარი ეროვნული ფესვების სიღრმეებს დაუკავშიროს.

რევაზ ლაღიძის ჰანგები სათუთად ესალბუნება ადამიანის სულს. ვის, თუ არა მას, უნდა აეხმიანებინა ჰანგებად ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ“, იოსებ ნონეშვილის „ბალადა ვაზზე“, ხუტა ბერულავას „ჰიმნი დედა ენას“. „თბილისომ“ კი მთელი საქართველოს „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი“ ააგუგუნა და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა ვახტანგ გორგასლის დაარსებული ქალაქის სიდიადე. რევაზ ლაღიძემ ჰიმნთა შორის ყველაზე დიდი ჰიმნი უძღვნა ჩვენს დედაქალაქს.

სცენაზე იდგნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები (I დან VII კლასის ჩათვლით) და გუნდი. ისინი იხსენებდნენ გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამებს რევაზ ლაღიძის შესახებ. VII კლასის მოსწავლე **მიხეილ ჩიტიშვილმა** რევაზ ლაღიძის პორტრეტი დახატა.

ღონისძიება გაიხსნა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის საგალობლით „მამაო ჩვენო“ და დასრულდა მისივე სიტყვით და საგალობლით „წმიდაო ღმერთო“.

სკოლის მოსწავლეთა გუნდმა შეასრულა რევაზ ლაღიძის ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი რამდენიმე სიმღერა: „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ტიალო დარიალაო“, „კარკუჩით ჩამაიყვანეს“, შემოსულა მაისი“, კანტატა „საქართველო“, „მეგობრობა“, „თოვლის ფიფქი თავნება“, „ჩიტი-გვრიტი“, „თბილისის დილა“ – სოლისტი **ანა კვაბზირიძე** (III კლასი); „თბილისო“ – სოლისტი **სალომე ზანგალაძე** (III კლასი); „მე ია ვარ“, ვიოლინოზე სოლისტი – **მეგი მინდალაია**, ცეკვა „ქართული“, სიმღერები კინოფილმებიდან: „გლახის ნაამბობი“, „რაც გინახავს ველარ ნახავ“, „კეთილი ადამიანები“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „ნინო“ – შეასრულეს: **რატი ნადირაშვილმა** (IV კლ.); **ნიკოლოზ მარკოზაშვილმა** (III კლ.); **ვახტანგ რუსიამ** (IV კლ.); **ზაალ ბენდელიანმა** (IV კლ.); **ლუკა სურმავამ** (III კლ.); **ბექა ბექაურმა** (III კლ.); **გურამ ელიზბარაშვილმა** (II კლ.).

მასწავლებლის მიერ გაწეული შრომა არასოდეს იკარგება უკვალოდ. მისთვის მთავარი ჯილდო ბავშვების სიყვარულით გამთბარი გულებია. მათმა წკრიალა ხმებმა მოაჯადოვა იქ დამსწრე საზოგადოება.

მოსწავლეებმა პატივი მიაგეს ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის ხსოვნას. ეს დღე მათ სამუდამოდ დაამახსოვრდებათ.

***ტასო კაპანაძე***
*45-ე საჯარო სკოლის პედაგოგი*



# უნივერსიადა ძალას იკრებს

„უნივერსიადა-2010“ თანდათან ძალას იკრებს – პარასკევს დამთავრდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც „ქარიშხალამ“ უმასპინძლა. მასში 10-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობდნენ, რომელთა შორისაც ძიუდოსა და სხვა საჭიდაო სახეობების საკმაოდ ტიტულოვან წარმომადეგნლებსაც შეხვდებოდით. თუმცა არ იფიქროთ, რომ ყველა მათგანი ჩემპიონი გახდა – ბევრს ხელიც მოეცარა, რაც ტურნირის სიძლიერეზე მიუთითებს.

65 კგ. – 1. **მიხეილ ოსაძე** (აგრარული უნივერსიტეტი); 2. **ლევან ჩუბინიძე** (სამედიცინო უნივერსიტეტი); 3. **დავით ნოზაძე** (სტუ).

70 კგ. – 1. **ნიკა ბაშარული** (სტუ); 2. **იაკობ ჩარკვიანი** (აგრარული უნივერსიტეტი); 3. **ლევან აბელაშვილი** (სამედიცინო ინსტიტუტი).

75 კგ. – 1. **ამბაკო ავალიანი** (აგრარული უნივერსიტეტი); 2. **ხვიჩა წიკლაური** (თსუ); 3. **შოთა ვანიშვილი** (ილიას უნივერსიტეტი).

80 კგ. – 1. **ხვიჩა ხუციშვილი** (თსუ); 2. **გიორგი იაძე** (ილიას უნივერსიტეტი); 3. **გურამ როსებაშვილი** (სტუ).

90 კგ. – 1. **ხვიჩა ქობლიანიძე** (ილიას უნივერსიტეტი); 2. **ბექა ბიქოშვილი** (სამედიცინო უნივერსიტეტი); 3. **გიორგი ბაღანაშვილი** (სტუ).

+90 კგ. – 1. **შავლეგ ბერუაშვილი** (აგრარული უნივერსიტეტი); 2. **გიგა მამაგულაშვილი** (სტუ); 3. **კონსტანტინე მუკვანი** (სამედიცინო უნივერსიტეტი).

ასევე დამთავრდა საუნივერსიტეტო შეჯიბრები მაგიდის ჩოგბურთსა და ჩოგბურთში. ჩოგბურთში გუნდურ ჩათვლაში ყველას ილიას უნივერსიტეტმა აჯობა, მეორეზე სამედიცინო ინსტიტუტი გავიდა, მესამეზე – გორის უნივერსიტეტი.

### *მაგიდის ჩოგბურთი*

გოგოები: 1. **მარიამ გოგოჭური** (სტუ); 2. **თამთა შარაბიძე** (ქართულ-ევროპული უნივერსიტეტი); 3. **მარიამ თხელიძე** (თსუ).

ვაჟები: 1. **ივანე სალუქვაძე** (ილიას უნივერსიტეტი); 2. **ილია სიმონიანი** (ილიას უნივერსიტეტი); 3. **გურამ ჭრიკიშვილი** (სეუ).

### *ჩოგბურთი*

გოგოები: 1. **გვანცა სუთნიძე** (ილიას უნივერსიტეტი); 2. **ნინო ყაჯრიშვილი** (სამედიცინო უნივერსიტეტი); 3. **ნანუკა შადური** (IB ევროპა-კავკასიის უნივერსიტეტი).

ვაჟები: 1. **ბიძინა ამაშუკელი** (სამედიცინო ინსტიტუტი); 2. **მერაბ ქაშიბაძე** (ილიას უნივერსიტეტი); 3. **გიგა პაპუაშვილი** (გორის უნივერსიტეტი).

სადღეისოდ „უნივერსიადა-2010“-ის საერთო ჩათვლაში, 36 მედლით, ილიას უნივერსიტეტი ლიდერობს – 15 ოქრო, 11 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. 27-27 მედლით მომდევნო ადგილებს თსუ და აგრარული უნივერსიტეტი ინაწილებენ, მაგრამ თსუ ოქროს მედლებით საგრძნობლად უსწრებს კონკურენტს – მათ ანგარიშზე 13 ოქრო, 6 ვერცხლი და 8 ბრინჯაოა, აგრარელთა მონაგარი კი 8-8 ოქრო-ბრინჯაო და 11 ვერცხლია.



## სლავა მეტრეველის სახელობის

30 მაისს ცნობილ ქართველ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდარულ გარემარბს, „საბჭოელ გარინჩად“ წოდებულ სლავა მეტრეველს 74 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, ამ თარიღმა საქართველოში ჩუმად ჩაიარა, თუმცა ქართველი ფეხბურთელის დაბადების დღე არ გამორჩენიათ დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლაში, სადაც 28 მაისს, სკოლის დირექტორ **იოსებ ხუციშვილისა** და სპორტისა და ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელის **ვახტანგ ბაქანიძის** ინიციატივით, სლავა მეტრეველის სახელობის ტურნირი ჩატარდა მინი-ფეხბურთში. მასში დედაქალაქის როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ, თუმცა ვერამ და ვაკემ რაიონის ნაკრებებიც შეადგინეს, ისევ სკოლების მოსწავლეთა ბაზაზე. საბოლოოდ ტურნირში 8 გუნდი შეიკრიბა და შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა. დაძაბული და საინტერესო შეხვედრების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება სწორედ ვერის და ვაკის გუნდებმა მოიპოვეს, გადამწყვეტი შეხვედრა კი ვაკელებმა მოიგეს და ჩემპიონებიც გახდნენ. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები კერძო სკოლა „მოძღვარმა“ ირგუნა.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ შეხვედრას წინ პირველ-მეორეკლასელთა საჩვენებელი გამოსვლა უძღოდა. ეს გუნდები 57-ე სკოლის, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ფრანგული სკოლა-ლიცეუმისა და „მოძღვარის“ ბაზაზე იყო დაკომპლექტებული. ტურნირის ორგანიზებაში ცნობილი სპორტსმენი, სულ რაღაც ორიოდ წლის წინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი **ვახტანგ ნაცვლიშვილიც** მონაწილეობდა, რომელიც ორგანიზატორებს თასებითა და სამახსოვრო პრიზებით შეეშველა.

## საქართველოს ჩემპიონატი ცაგერში

რამდენიმე დღის წინ მაღალმთიანმა ცაგერმა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაცია ეროვნული სახეობის პოპულარიზაციისთვის ყველაფერს აკეთებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შეჯიბრება გამართოს, თანაც არა მხოლოდ დედაქალაქში, რეგიონებშიც. ცაგერში პირველობის ჩატარებაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

ეს რეგიონების პირად-გუნდური პირველობა იყო, რომელშიც ქვეყნის 10 გუნდი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: **ხვიჩა კოპალიანი** (55, იმერეთი), **ლაშა კვირიკაშვილი** (60, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი), **ტარიელ ფეიქრიშვილი** (65, შიდა ქართლი), **გიორგი მახარაშვილი** (70, მცხეთა-მთიანეთი), **შმაგი შარიფაშვილი** (80, შიდა ქართლი), **ბადრი სირბილაძე** (90, იმერეთი) და **ბექა წყალობაშვილი** (+90, კახეთი).

# უმთავრესი ტურნირებისთვის მზადება

ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები სეზონის უმთავრესი ტურნირების – ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადება. აქამდე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირშიც იჭიდავეს, ბოლო უქმეებზე კი დიღომში საქართველოს ჩემპიონატიც ჩაატარეს. ვინაიდან ეს სანაკრებოდ უმთავრესი შეჯიბრებაა, ტურნირში უკლებლივ ყველა სავარაუდო კანდიდატი გამოვიდა. მათ შორის, ისეთებიც, ვისაც ობიექტური მიზეზით მზადების გარკვეული ეტაპი გაუცდათ და მწვრთნელები შეჯიბრებიდანაც ათავისუფლებდნენ.



ნებისმიერი ტურნირის დანიშნულება ახალი სახეების გამოვლენაა და შეჯიბრების მიზანიც ამით იზომება. ამჯერად ახალი კადრები არ გამოჩენილან – კვლავაც ძველმა ლიდერებმა გაიმარჯვეს, თუმცა ჩემპიონატს დონეს ნამდვილად ვერ დავუწუნებთ. საქმე ისაა, რომ ძველი ლიდერები კვლავაც ინარჩუნებენ სტაბილურობას და ამჯერადაც ძალიან ძლიერად იჭიდავეს. ვერც იმას ვიტყვით, რომ ახლები სუსტები არიან და მათ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. პირიქით, გამარჯვების და ლიდერობისთვის თავდაუზოგავადაც იბრძოლეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველი ლიდერები შარშანაც ფრიად ძლიერები იყვნენ თავიანთ წონებში და უმეტესობამ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წარმატებებსაც მიაღწია. მაგალითად, **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორია, **არჩილ შინჯიკაშვილი** (90) – ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. მათ შარშანაც მოიგეს საქართველოს ჩემპიონატი და წლეულსაც იმარჯვეს, თუმცა შინჯიკაშვილს ეს ფრიად გაუჭირდა. შარშანდელის მსგავსად, ქვეყნის ჩემპიონები წლეულსაც **მიხეილ ნარიმანიძე** (100) და **უშანგი კოკაური** (+100) გახდნენ, თუმცა კოკაურს საამისოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა ახალგაზრდა სამბისტთა შორის ევროპის ჩემპიონ **სლავა რეზესიძესთან** ფინალურ შეხვედრაში. შარშანდელივით ძალზე იოლად გაიმარჯვა ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონმა, რუსთაველმა **ზებედა რეხვიაშვილმაც** (73) – ფინალი იმდენად უზადო გდებით მოიგო, ძალიანაც რომ მოგენდომებინა, წუნს ვერ უპოვიდით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ამ ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერია და გამოჩენისთანავე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება.

ერთადერთი ახალი სახე, ვინც ჩემპიონთა შორის გამოჩნდა, გორელი **ლაშა ლომიძეა** (60), რომელმაც წინასწარ შეხვედრებში მოგვარე და თანაქალაქელი, ამ წონის ლიდერად მიჩნეული, ჭაბუკთა შორის ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ირაკლი ლომიძე** დაამარცხა. სხვა წონებში ახალგაზრდებში ასევე შარშანდელმა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **გიორგი ბროლაშვილმა** (60) და ჭაბუკთა შორის ევროპის მესამე პრიზიორმა **ოთარ კაიდარაშვილმა** (55) გაიმარჯვეს.

ბუნებრივია, ამ ასაკის მოზარდები ჯერ ვერ იქნებიან უნაკლო სპორტსმენები, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მაღალი დონის ჭიდაობა შემოგვთავაზეს და მთელი ტურნირი უშელავათო ბრძოლებში გაილია. შესაბამისად, დარბაზს არც ვნებათაღელვა, შეხლა-შემოხლა და ჩხუბი აკლდა, რაც დარბაზის გარეთაც გაგრძელდა. სამწუხაროდ, ეს ცუდი ტრადიცია კვლავაც გრძელდება. სიმართლე ითქვას, იყო რამდენიმე შეხვედრა და მათ შორის – ფინალიც, როცა მსაჯთა გადაწყვეტილება უსამართლო მოგვეჩვენა, მაგრამ ეს ჩხუბს არ ამართლებს.

ევროპის ჩემპიონატზე წასვლამდე ახალგაზრდები ჩეხეთში ევროპის ახალგაზრდულ თასზე გამოვლენ, შემადგენლობაც საბოლოოოდ იქ გაირკვევა. ამ ნაკრებმა წლეულს თაობათა ცვლის საგრძნობი პროცესი განიცადა – ასაკის გამო ეროვნულ ნაკრებში გადავიდნენ ევროპის შარშანდელი ჩემპიონი 20 და 23-წლიანთა შორის **პაატა მერებაშვილი** (60) და ევროპის შარშანდელი პრიზიორი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73). ცხადია, ეს დიდი დანაკლისია, მაგრამ ახლანდელ შემადგენლობაში მათი ღირსეული შემცვლელები ნამდვილად მოიძებნებიან.

*რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე*

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.